

პროდაცენტარი მცხვერებლები



მოწინავე. — პროდაცენტარულ მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის შედეგები. ი. ვაკელი. — გზიდან. გასწი ჩემო მეტლევ. ალ. სულავა. — მაქსიმ გორკი. კონსტ. ლორთქისტანიძე. — პოემა ჩვენი დროის გმირების. კ. კალაძე. — მსჯელობა მომავალ საქმეების გამო. პ. ხამსონიძე. — დიდი ბლინდა ყვირილაძე. შ. რადიანი. — სანდრო ეული. პ. ხამსონიძე. — ერთი საუბრის გამო. გ. კაჭახიძე. — ჩემი მინა. ს. ჯავშანიძე. — პირველი ტრაქტორი. ბ. ბუაჩიძე. — მსჯელობა მომავალ საქმეების გამო.

ბიბლიოგრაფია.

გ ა ი ს ი
ი ვ ნ ი ს ი

5-6

ს ა ხ ე დ გ ა მ ი
1928

კრიტიკა

მწარმებელი

№ 5—6

(17—18)

გვ. 10,

1928 წ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ახოციაციის
უფლებისური თრგანო.

ბ. ბერიძეს, ი. გაგულის, ვ. ლუარაშვილის, ა. მაჟაშვილის, შ. რაჭაძის,
დ. რომდელის და კ. ფეოდოსიშვილის რედაქციით.

პროლეტარულ მწერალთა პირველი საკავშირო ურილობის უდებები

მიმღინარე წლის მაისში შესდგა პროლეტარულ მწერალთა ურილობის საკავშირო ყრილობა.

აქამდი პროლეტარულ მწერლებს ასეთი მრავალრიცხოვებრივი კონფერენციაზე მდგრადი იყო 30-მდე ერთვნება. 1924 წლის უკანასკნელ კონფერენციაზე მდგრადი იყო 30-მდე ერთვნება. 1924 წლის უკანასკნელ წევა და სხვა თათბირებზე და კონფერენციებზე, მაგრამ ამ თათბირებს საკავშირო ხასიათი არ ჰქონდა. უკანასკნელ წლების განმავლ ობაში პროლეტარული მწერლების მოძრაობა, იმდენად გაფართოვდა და გაიზარდა, რომ 1928 წლისათვის არ დარჩენილა საბჭოთა კავშირში შემავალი, პატარა ერიც კი, რომ პროლეტარულ მწერლების საკავშირო ყრილობაზე წამოდგენილი არ ყოფილიყო, ასეთი თვალსაჩინო ზრდა დაკავშირებულია — მთელ რიგ ბრძოლების და სიძნელეების დაძლევასთან.

პროლეტარულ მწერლობას უხდებოდა ბრძოლა თავის არსებობის უფლებისათვის. მის წინააღმდევ ბრძოლა სწარმოებდა სხვა და სხვა მიზნით და მიზეზებით; ერთის მხრივ, ბურჟუაზიული შემორევა იდეოლოგიურ ფრონტზე, მეორეს მხრივ; — ლიკვიდატორული ტენდენციები „თავისიანთა“, რომლის ჩამოყალიბებული სახეებია ტროკიზმი და მისი განვითარება „კორონშინა“.

ს. კ. 3. (ბ) ც. კ.-ს რეზოლიუციამ გარკვეული მიმართულება მისცა ბრძოლას კულტურულ ფრონტზე; განსაზღვრა მნიშვნელობა და პერსპექტივები პროლეტარულ მწერლობისა. ამის შემდეგ ბრძოლა მაინც არ დამთავრებულია. ზოგიერთი ერთგულად იღვწოდენ პარტიის ხაზის გადამახინჯებისათვის. ეს გამოიხატებოდა რეზოლიუციის თავისებურ ახსნა-განმარტებაში. მიუხედავად შეუჩერებელი ბრძოლისა, პროლეტარული მწერლობა საკავშირო მასშტაბით ვითარდებოდა და თანდათანობით ძლიერდებოდა.

პირველმა ყრილობამ ჯამი გაუკეთა წარსულ მუშაობას. გაითვალისწინა არსებული მდგომარეობა და გარკვეული პერსპექტივები დასახა. ყრილობის დღის წესრიგში დამუშლი იყო ფრიად რთული და მნიშვნელოვანი საკითხები. მიუხედავათ ამისა, ყრილობამ მაინც ვერ შესძლო თავის მუშაობის მასალად გამოყენებია ყველა წარმოდგენილი ეროვნებათა ლიტერატურა, რომ ამით გაეთვალისწინებია პროლეტარულ მწერლობის მდგომარეობა, არა მარტო რუსულისა, არამედ სხვა საკავშირო ეროვნებებსაც. ეს მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ ჯერ კიდევ „ვაპპ“-ი (საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია), გამხდარი არ იყო საკავშირო ორგანიზაციათ. სუსტი კავშირი ადგილებთან, ეროვნებათა პროლეტარულ მწერლების კულტურული ურთიერთობა მოუგარებელი იყო. არ არსებობდა მჭიდრო ორგანიზაციული – ლიტერატურული დაახლოვება. პირველმა ყრილობამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ფაქტიურ გაერთიანების საქმეს.

ყრილობის მუშაობაში ცენტრალური ადგილი დაიკავა ნაციონალურმა საკითხმა. ამ საკითხთან დაკავშირებული იქნა პროლეტარულ მწერლობის ზრდის პირობების გარკვევა სხვადასხვა ეროვნებათა ცხოვრებაში. მათი ურთიერთობის, ნაციონალური კულტურის გაგების პროლეტარულ კულტურის სისტემაში, ასოციაციის ორგანიზაციული მშენებლობა და სხვა. პრინციპიალურ კითხვებზე ყრილობის დელეგატების შორის დავა არ ასრებობდა, გარდა უკრაინის დელეგაციის ზოგიერთი მცირე შესწორებებისა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ძირითადში ნაციონალური საკითხი დამუშლი და გადაწყვეტილი იყო მარქსიზმის და ლენინიზმის თვალსაზრისით.

მთავარი ყურადღება მიექცა ნაციონალური საკითხის პრაქტიკულ მოვარებას. ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ წარმოდგენილი იყო ორი პროექტი: 1. საკავშირო ასოციაციის არსებობა, 2. „ვაპპ“-ის ავტონომიურ ერთეულების ფედერაციათ გარდაქმნა. პარიტეტული ცენტრით (უკრაინა). ორივე პროექტის ძირითადი აზრი

მიმართულ იყო იმისაკენ, რომ რაც შეიძლება მეტი რაციონალური, ორგანიზაციული წყობა მიეცათ პროლეტარული მწერლობის საკავშირო გაერთიანებისათვის, ადგილებზე უკეთ მუშაობისათვის, ყველა ერებში არსებულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. დელეგატები აღნიშნავდენ მთელ რიგ კონკრეტულ მაგალითებს, ჯერ კადევ არსებულ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ნაშთებს, რომელიც სხვადასხვა სახეს იღებს და ხშირად როგორც რესეთის, ისე სხვა ერთა პრესაშიაც კი მექანიზმება. ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა უპირველეს ყოვლისა პროლეტარულ მწერლების ამოცანაა. უკრაინელთა პრაქტიკული ღონისძიებებში, რომელთა მიზანი ყველასათვის უდაო და მისაღები იყო, ნაწილობრივი გაურკვევლობა სჩანდა, საკითხის არა სწორი დასმა.

ყრილობამ გარკვეულად აღნიშნა, რომ წარსულის რეაქციონურ ნაშთების და უმთავრესად ნაციონალიზმის და შოვინიზმის წინააღმდეგ, — მოწინავე მებრძოლ რაზმად უნდა გადაიქცეს პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციები; ამისათვის უნდა იქნეს გამონახული კონკრეტული საშუალებანი, როგორც პროლეტმწერალთა ორგანიზაციული მთლიანობის შესანარჩუნებლათ, ისე, ყოველ-დღიურ საქმიანობაში ურთიერთ დახმარებისათვის.

ყრილობის დადგენილებებში ნაციონალურ საკითხი საესებით დამუშავებული იქნა. ორგანიზაციის პრინციპი ძველი დარჩა: მასიურობა და მთლიანობა.

ყრილობამ დიდი ყურადღება მიიქცა შემოქმედებითი საკითხებს 1) შემოქმედებითი საკითხების დასმა, მხატვრული პლატფორმის გამოშეზავების მიზნით, მიმდინარეობდა დისკუსიის წესით. პლატფორმის სრული დამუშავება ყრილობას არ მიუჩნდება ჯერ ჯერმანით შესაძლებლად და არც ჰქონია მიზნად დასახული. ყრილობის საორიენტაციო მასალას მხოლოდ რუსული ლიტერატურა წარმოადგენდა და არა ყველა ერთა ლიტერატურა. ყრილობამ დირექტივა მისცა მომავალ სახელმძღვანელო ორგანოებს შემოქმედებით საკითხებზე დისკუსიის გაგრძელებისათვის, რაც შეიძლება პროლეტმწერალთა ფართო ფენების ჩამით, რომ ამით მომავალში შესაძლებელი იქნეს მხატვრული პლატფორმის დასრულებული სახით გამოშვავება.

პროლეტარულ მწერლობის ზრდა დაკავშირებულია და დამოკიდებულია მეითხველის დაფლობაზე, როგორც ამხ. კრინიცი

1) ჩვენი ურნალის უახლოეს ნომრებში,—განილული იქნება შემოქმედებითი საკითხები—პირველ საკავშირო ყრილობაზე.

მიუთითებდა ყრილობაზე. პროლეტმწერლობას ამ დარგში თვალსა-
ჩინო მიღწევები იქნა, რაც დაკავშირებულია მისი ხედრითი წენის
ზრდასთან, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი არის გასაკეთებელი
იმისათვის, რომ იღზრდილი იქნეს ახალი მეითხველი და განთავისუ-
ფლებული — ბურუჟაზიული მწერლის გავლენისაგან. ამ საკითხთან
ერთად პროლეტმწერლობის ამოცანებში შედის ხელოვნების ფრონტ-
ზე გაელენის გაძლიერება (თეატრი და კინო). აგრეთვე დროულად
სდგას საკითხი მარქსისტული კრიტიკის გაძლიერების შესახებ; ყრი-
ლომამ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. მოსმენილ
იქნა სპეციალური მოხსენება ამს. ლუნარისკის მარქსის-
ტული კრიტიკის ამოცანების შესახებ.

ყრილობის დადგენილებებში, ერთერთ მნიშვნელოვან მუხლად
უნდა ჩავთვალოთ ლონისძიებანი პროლეტარულ მწერალთა კველა
ძალების გაერთიანებისათვის. „ვაპპ“-ში დღემდე არ შედიოდა უკრა-
ინა და პროლეტარულ მწერლების ჯგუფი „კუნიკა“. ყრილობამ გაა-
ერთიანა ეს ძალები. საკავშირო პროლეტარულ მწერალთა ასოცია-
ციების გაერთიანებაში შეეიდა უკრაინა და „კუნიკას“ ჯგუფიც.
გარდა ამისა გამოყოფილ იქნა ცალკე ცენტრი რუსეთის ასოციაცი-
ისა (რაპპი). ეს ფაქტი დადგებითია იმ მხრივ, რომ აღარ მოხდება
შენაცველება „ვაპპ-ის და რუსეთის ასოციაციის.

ყრილობა განსაკუთრებული ყურადღებით შეჩერდა სწავლის,
შემოქმედების და თვითკრიტიკის საკითხებზე. კულტურული დონის
აწევა პროლეტარული მწერლების ზრდისათვის გადამწყვეტია; ამი-
ტომ წარსულ კულტურის დაფლობას — სწავლას, პირდაპირ, ამხანაგურ
თვითკრიტიკასთან ერთად მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს.

ყრილობის წინ წარმოებულმა ბრძოლამ „ვაპპ“-ის წინააღმ-
დევ, ყრილობის პროცესში ფრიად უბადრუე ხასიათი მიიღო. გა-
ნეთ „Читатель и Писатель“-ის მიერ მეშჩანობისა და ობივატელო-
ბის ნიშნით წარმოებულმა კორების კამპანიამ, ლიკვიდაცია უქნა თა-
ვის თავს; მხოლოდ ერთგვარი სიცოცხლის უნარის გამოქვებულება
სკადა ეგრედ წოდებულმა „ნაბოსტუს უმცირესობამ“. სინამდვილე-
ში მათ მიერ ატენილი ხმაურობა, მხოლოდ მტვერის კორიანტელი
გამოდგა. ერთი: არავითარ ჯგუფს არ ქონია ადგილი, არსებობდა
მხოლოდ ორი სამი ოპოზიციონერი, და რაც მთავარია მათი გამო-
სვლები წარმოადგენდა სრული იდეური კრაბის ნიმუშს. უპრინცი-
პობა და უკმაყოფილო ბულენი საზღვრავდა მათ მთავარ ხაზს; ძი-
რითად პოლიტიკურ მოხსენების თეზისებს „მემარცხენები“ ეთან-
მებოდენ, მაგრამ ყრილობის მიერ, მათ მიმართ დასმულ კითხვებზე

Зиндеромаинири პასუხი—მაინც არ იყო გაცემული. ეს გამოშევეული იყო, მით, რომ რამოდენიმე ამხანაგს, რომელთა შემცდარ შეხედულებებს აღარავითარი ნიადაგი აღარ აქვს პროლეტარულ მწერლობის ორგანიზაციებში, კიდევ არ სურთ უარყონ თავისი წარსული შეცდომები. ამაზე მიუთითებდა ამბ. კრინიცკი ყრილობაზე თავის საპროგრამო სიტუაციი: „так-называемые „левые“ товарищи в пролетарской литературе, которые допускают ошибку цеховщины, ошибку отрыва от огромной задачи изучения буржуазного культурного наследства (амб. კრინიცკის-სიტუაციის სტენოგრამიდან).

„მემარცხენებმა“ ორაზროვანი ანუ არადამაქმაყოფილებელი პასუხი გასცეს ყრილობას. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის მიმართავს ყოველგვარ ღონისძიებას, პროლეტერალთა უმნიშვნელო ძალებიც კი გააქრთიანოს მთლიან ორგანიზაციაში, მაგრამ შეუძლებლად და მავნედ მიაჩნია შიგნით ფრაქციის არსებობა, დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ლიტერატურული მიმართებით. ყრილობამ თავი შეიკავა „მემარცხენე ამხანაგების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებისაგან. მაგრამ დააკალა მომავალ გამგეობას, რომ იმ შემთხვევაში თუ ამ ამხანაგების მიერ არ იქნება საესებით შესრულებული ყრილობის დადგენილება და ლიკვიდაცია არ ექნება ყოველგვარ ფრაქციულობას, მათ წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნეს ზომები ყრილობის დადგენილების თანახმად.

ყრილობამ აღნუსხა და გაარკვია პროლეტარულ მწერლობის მოძრაობის ყველა დაბრკოლებანი, არსებული უარყოფითი მხარეები; ძირითადად მიიჩნია სწავლისა-შემოქმედებისა და თვითკრიტიკის გაძლიერებული ენერგიით განხორციელება. ბრძოლა კულტურის ფრონტზე მემარჯვენე შემოტევის წინააღმდეგ, საკუთარ რიგებში კომუნიკობის საბოლოოდ აღმოფხვრა, განტვირთვა ზედმეტი ორგანიზაციული მუშაობისაგან და მთავარი ყურადღების მიქცივა შემოქმედებითი საკითხებზე.

ყრილობის ხანგრძლივმა და ფრიად ნაყოფიერმა მუშაობამ, დაასრულა პროლეტარულ მწერლობის დიდი და მნიშვნელოვანი პერიოდი, რის შემდეგაც იწყება მეორე, კიდევ უფრო რთული და საპასუხისმგებლო მუშაობა, ლენინურ კულტურულ რევოლუციის მიმდინარეობაში.

გ ზ ი დ ა ნ

მატარებელი მიმაქანებს, თითქო ფრთები აქვს,
ვშორდები არეს, საყვარელს და ლამაზ მთებიანს,
შორს, მთის მწვერვალზე დათესილი მინანქრებია...
მატარებელი მიმაქანებს თითქო ფრთები აქვს,
ჩნდება ხეები, მაგრამ ისევ იკარგებიან,
ვუცქერ ვაკეებს, გაშლილ ველებს, ჭალებს ქვებიანს;
მატარებელი მიმაქანებს თითქო ფრთები აქვს,
ვსცილდები არეს საყვარელს და მაღალ ფრთებიანს.

ირგვლივ ველები, ვაკეები და მინდვრებია,
მატარებელი მიპქრის ისე, თითქო ფრთები აქვს,
ალარც ხეობა არის სადმე, ალარც მთებია;
სულ გაწოლილი მინდვნარი და ვაკეებია...
აქეთ დანეცი, იქით დონი და ქარხნებია,
მაღაროებსაც ცხელი გული აზავთებიათ,
სკრიან და სტეხენ მაგარ ფენებს გიშრის ქვებიანს...
მატარებელი კი მძლედ მიპქრის, თითქო ფრთები აქვს,
დავშორდი მხარეს, საყვარელს ლამაზ და მთებიანს.

ალარც ხეობა, ალარც კლდენი, ალარც მთებია,
ვხვდებით და ვსტოვებთ ვაკე-ველებს ჯეჯილებიანს...
მატარებელი კი მძლედ მიპქრის, თითქო ფრთები აქვს,
აქაც ველები, მინდვრები და ვაკეებია...
მე კი ხალისის ცეცხლი გულში დამგუბებია,
ვუცქერ მიდამოს, არეს ვრცელს, ცას ლრუბლებიანს,
მატარებელი ჰერივის, მიპქრის, თითქო ფრთები აქვს,
უკვე არ ვხედავ ლამაზ მხარეს ამაყ მთებიანს.

გასწი, ჩემო მეეტლევ!

ცა ლურჯთვალა ყვრიმალი იცქირება მდუმარი
გზლს ეს კიდეც აწუხებს და ხან კიდეო ახარებს,
შენ კი გასწი მეეტლევ, პირველად ვარ ამ მხარეს

ჩრდილოეთში მოსული სამხრეთელი სტუმარი.
 იგინე და იფუროხე ოლონდ გასწი ქორივით
 და უცნობი ეს მხარე სწრაფად გადამატარე,
 რომ მეც ვნახო ცხოვრების მოგრიალე მორევი
 და მსოფლიო ხანძარის ჩაუქრობი ლადარი.
 ოდნავადაც ნუ სწუხხარ, რომ ეს გზები, ეს არე,
 არის ჩემთვის ჯერ კიდევ უჩვევი და ულევი,
 ვით შვილდისგან ბედითი გატყორცნილი ისარი—
 გასწი, ისე მეეტლევ, გასწი განწირულებით!

აგრ ძეგლი პრიძოლების ლამაზი და მძვინვარე,
 სამქუთხედა კედლები რომ აქეს თლილი ყალიბით,
 დგას ამაყალ, თვითნება ისე როგორც მყინვარი
 მძიმედ ამოზიდული ჰერკულესის ხმალივით.
 ეტლი მიპქრის და მეც სხვა ფიქრებით ვარ მღელვარე,
 შეც მოგორავს დილისა, დინჯად ოქროს გორივით,—
 და პა, უკვე თვალებს ჭრის დროშა სხივებზ ელვარე,
 თავზე რომ დასტრიალებს კრემლს ონავარ ქორივით.
 მე კი ეს მიხარია და შენც გადამატარე
 ჩემთვის ეს არე-მარე უჩვევი და ულევი,
 ბედს არ შეუშინდები, ქედს არ ვუხრი არაფერს.
 გასწი, ჩემო მეეტლევ, გასწი განწირულებით!

მიპქრის ეტლი, ქანაობს, გულიც ამით ერთობა,
 თვალმა, როგორ გაუძლოს ამგვარ ასხივოსნებას!
 ჩემო სიახალვაზრდევ, ჩემო სიყრმის ოცნებავ,
 მივატოვოთ ნაღველი, ძევლი უიმედობა.
 რაა მასში ხალისი, რომ სულ იყო ნაღველით
 ვით ბედითი ტყვიისგან მკერდ დაჭრილი არწივი,
 აქ, მოსკოვის ქუჩებში ქვაც კი უკანასკნელი
 იცეირება ამაყალ მებრძოლ ჯარისკაციებით.
 მაშ, აღულდეს ებლავე გრძნობებიც და ფიქრებიც,
 ვით ეს არე მღელვარე, უჩვევი და ულევი,
 მე, მედგარი მებრძოლი სიკედილამდე ვიქნები,
 გასწი, ჩემო მეეტლევ, გასწი განწირულებით!

არ მწყურია საზღვარი, გასწი ჩრდილოეთელო,
 ყურს ნუ უგდებ ქალაქის ხმაურსა და გორიალს,
 შრომისა და ძმობისთვის ამ ხალხსავით გმირულად

მჯერა დედამიწაზე ჯერ არვის უბრძოლია.
 ეხლაც იბრძვის მძვინვარედ და ჩაგრული ერები
 მოლის სხვადასხვა მხრიდან სწრაფი გამოქანებით;
 უკვე აღარ ტრიალებს შულლი წარსულ დროისა
 წავიდნენ და ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები.
 შენ კი გასწი მეეტლევ, სწრაფადად გადამატარე,
 ჩემთვის ეს არე-მარე უჩვევი და ულევი,
 რაც არ უნდა გადამხდეს, არ ვინაღვლებ არაფერს,
 გასწი, ჩემო მეეტლევ, გასწი განწირულებით!

ვინ რა იცის მრისხანე ბრძოლა განუკითხავი,
 სად მიიყვანს საღაურს და ან რომელ მხარეში,
 ვის ალუთქვამს იმედის გაშლას ულამაზესად
 და ვის გულს დაუკოდავს ძრწოლითა და თარეზით,—
 მავრამ შენ კი მეეტლევ, გასწი, არ მსურს საზღვარი,
 მე პრომეთეს ცეცხლსა და ბრძოლის რისხეას დავეძებ,
 და ამ ცეცხლის ძებნაში სჯობს დაკარგვა უკვალოდ,
 ვინგმ მდორე ჭაობში უბრძოლევლებ დავეცე.
 და ნულარ შემაბრკოლებ, დე, ალსრულდეს წადილი,
 მიწვევს ეს არე-მარე უჩვევი და ულევი,
 შაშ, ქარიშხლის, ბრძოლების და ცეცხლების არეში
 გასწი, ჩემო მეეტლევ, გასწი განწირულებით!.

ალექსანდრე სულავა

მაქსიმ გორგაძი

დაწყებული ამხ. ლენინის ავტორიტეტით და გათავებული
 მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ისეთი წარმომადგენლე-
 ბით, როგორიც იყვნენ, პლეხანოვი და ვოროვაკი, ყველანი იმ მო-
 საზრებებს გამოსთქვამდენ მაქსიმ გორგაის შესახებ, რომ ის პროლე-
 ტარიატის დიდი მხატვარია, პროლეტარული ხელოვნების დიდი
 წარმომადგენელი.

რაც, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ისინი გორგის
 შემოქმედებას კრიტიკულათ არ უდებოდენ, იქ სადაც გორგი უშ-
 ვებდა საგრძნობ იდეოლოგიურ შეცდომებს, რითაც ამ შემთხვევაში
 გამოხატავდა წვრილ-ბურევაზიულ და ბურევაზიულ იდეებს. რაც
 შეეხება მის შემოქმედების იმ მხარეს რომლის მხატვრულ-ლიტერა-

ტურულ ფორმებში გამოხატულია პროლეტარიატის ბრძოლის და
იდეური მისწრაფებები, მას იმ უპირატესობას აძლევს, რომ მის ამ
ნაწარმოებებს გარკვეულათ პროლეტარულ ფაქტებათ თვლიან, მას
კი პროლეტარულ მწერლათ, მაგრამ რამდენათ გორკი მეტად ღრმა
და რთული შინაარსის მწერალია, რამდენათ ძნელია მისი შემოქმე-
დების სოციალური ანალიზის მოცემა, იმდენათ აზრთა სხვადასხვაო-
ბასაც კი აქვს ადგილი თვით მარქსისტულ კრიტიკის სფეროში.

ცნობილია, რომ იგივე პლეხანოვი, რომელიც გორკის „პრო-
ლეტარ-მხატვარს“ უწოდებდა და მის ერთ-ერთ ნაწარმოებზე
(„Bragi“) ლაპარაკობდა, როგორც „მუშათა კლასის მომრაობის
ფსიხოლოგიაზე“ მას იმ ბრალდებასაც უკენებდა, რომელიც დღემდი
ჩჩება ძალაში და გორკის მთელ შემოქმედების იმ დეფექტიურობაზე
ლაპარაკობს, რომელიც გამძლე პროლეტარული იდეოლოგიის უქონ-
ლობაში გამოიხატება.

ლენინის უახლოესი მეგობარი გორკი, მართალია ზოგჯერ
მერყეობას და პროლეტარული იდეოლოგიდან საგრძნობ უკან და-
ხევებსაც ახდენდა. როგორც მაგალითად ოქტომბრის რევოლუციის
დროს და სხვა, მაგრამ მიუხედავთ ამისა იგი შაინც ჩჩებოდა და
დარჩა პროლეტარიატის უდიდეს თანამებრძოლათ და მის მეგობარ
მხატვრით.

რომ ეს ასეა, რომ გორკი მუშათა კლასის დიდი საყარელი
მწერალია, რომელსაც არა ჰყავს ტოლი თანამედროვე რუსეთის
მწერლობაში თავისი პოეტიკარობით და სიდიდით, ამას ამტკიცებს
თუ გინდ ჩვენი დღეების სინამდვილე, როცა გორკის სახელი, რო-
გორც ამხ. ლენინი იმბობდა „ჩვენს შენებლობაში და ბრძოლა-
ში შესულია, როგორც, დიდი პლიტსა“. *

საქმე იმაშიცაა, რომ გორკი არა თუ მარტო დიდი მწერალია
არამედ დიდი საზოგადოებრივ პოლიტიკური ფიგურა, რომელიც,
რამდენიმე წლების განმავლობაში ახლოს იდგა, როგორც თავისი
შემოქმედებითი მონაცემებით, ისე თავისი პრაქტიკული საქმიანო-
ბით—რევოლუციონურ პროლეტარულ საზოგადოებრივობის ცენტრ-
ში, ხშირად ბოლშევკიურების მხარეზედაც.

ამიტომ და ამ მხრივ ფასდება გორკი, როგორც პროლეტა-
რიატის დიდი მწერალი. იგი შესულია რუსეთის ლიტერატურაში,
როგორც კლასიკი, რომელიც რამდენიმე წლების განმავლობაში
როგორც რეალისტი მწერალი საუკეთესოდ ხატავდა პროლეტარია-
ტის ყალიბობის და იდეური ზრდის მისწრაფებებს. მრავალმილიო-
ნიანი რუსეთის მშრომელთა ბნელ ყოფა-ცხოვრებას, თვითმშერობე-

ლობის და კაპიტალის „პირველ დაგროვების“ პირობებში პროცენტიალურ რუსეთის ცხოვრებას, ცხოვრების ბინძურ ფსკერზე მოქცეულ აღამიანების ყოფას.

მართალია რუსეთის ამ მოდუნებულ, უსიცოცხლო, ბნელი, ცხოვრების სინამდვილეს, „ოკუროვშინას“ რომლის უკვდავი მწერალია გორქი, არა მარტო გორქი ხედავდა და ხატავდა, არამედ ისეთი მწერლებიც, როგორიც იყვნენ კოროლენკო და განსაკუთრებით «Хмурые люди»-ს ავტორი ა. ჩეხოვი. მაგრამ გორქის გამარჯვება სწორედ იმაშია, რომ ის არა მარტო ხედავდა ამ სინამდვილეს არამედ ეძებდა მასში დაუდგრომელ, მებრძოლ, ჯანსაღ ინსტიქტის მქონე აღამიანებს, რომელთაც შესწევდათ ძალა შებრძოლებოდენ უსამართლობას. ამ ბუნტარული განწყობილების ფონზე გამოვლინდა სწორედ მისი ამ პერიოდის შემოქმედება, რომელიც თავის მხრივ ერთგვარ რევოლუციონურ მოვლენას წარმოადგენდა, რაც კარგათ იგრძნო იმთავითვე საზოგადოების რევოლუციონურ ნაწილმა და გორქი თავის მწერლათ მიიჩნია.

გორქი ცნობილია, როგორც „ქარიშხალის მოციქული“ მწერალი. ზავ-ბნელი რეაქციის პერიოდში მას არ შეიძლებოდა არ მიეპყრო რევოლუციონური საზოგადოების ყურადღება, რადგან მონაცემ ფაქტებით, სიცოცხლეშე და ბრძოლებშე შეყვარებული ტიპებით—ის რევოლუციონურ მისწრაფებას გამოხატავდა. ყველა მისი გმირები ისეთი აღამიანებია, რომელიც უშიშრად იბრძეიან თავიანთ იდებისათვის, „სიმართლისათვის“, „ახალი ცხოვრებისათვის“, „აღამიანური საძალობის“ წინააღმდეგ და სხვა. გორქი ამ შემთხვევაში გამომხატველი შეიქნა ეპოქის იმ მოწინავე იდეებისა და განწყობილებებისა, რომელიც დაკავშირებული იყო მუშათა კლასის კლასთა ბრძოლის არეზე გამოსხვლასთან. ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას სინამდვილეში გრანდიოზული ძრები სწარმოებდა. ერთი მხრივ ინგრეოდა ქვეყნის ძელი ფეოდალური საფუძვლები და მის მაგიერ მოდიოდა კაპიტალი, „ქვიშნის ბალები“ და „თავად-აზნაურთა ბუდეები“ გადადიოდა კოლუპაევების, რაზეულევების და ლოპატინების—ამ მომავალ ბურჟუების ხელში, მაგრამ მეორე მხრივ დაკავშირებით ქვეყნის ურბანიზაციასთან იზრდებოდა და ირაზმებოდა მუშათა კლასი.

რასაკირველია, მაშინ გორქი არ იყო რევოლუციონური პროლეტარიატის უშუალო ინტერესების გამომხატველი, რამდენათ თვით პროლეტარიატი არ წარმოადგენდა გარკვეულათ ჩამოყალიბებულ მებრძოლ კლასს, და რევოლუციონური მოძრაობა ატარებდა

კლასიურად გაუგნებელ ბურუჟაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის საერთო ხასიათს. „გამანთავისუფლებელი მოძრაობის“ საერთო ფორმის შესახებ მულის ქვეშ იბრძოდა, არა თუ მუშათა კლასი არამედ არა დიდებული ნკადით ქმნებოდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენები. აი სწორედ ამ ფართო ფენების გლეხურ-მუშურ, შესჩანურ ავლომერატის საერთო დაკერთას ასრულებდა გორკი და რამდენათ თვითონაც ამ „დემოკრატიულ“ ფენიდან მოდიოდა, იმდენად იგი ძლიერად ამჟღავნებდა თავს. პროვინციალური, ხელოსნური წვრილ-ბურუჟაზიული, წვრილ-ინტელიგენტური, ლუმპე-პროლეტარული ფენების მწერლათ. მაგრამ, როგორც ცნობილია, რუსეთის დემოკრატიულ რევოლიუციაში მოწინავე პოზიციები პროლეტარიატს ეკუთვნოდა და რამდენათ პროლეტარიატი ამ მოძრაობაში იკერდა ცენტრალურ აღვილს, იმდენად მისი გავლენა ძლიერდებოდა, არა თუ მარტო დემოკრატიულ, არამედ წვრილ-ბურუჟაზიულ, ფენებზედაც. ამით აისწება 900 წლებში რევოლიუციონური ინტელიგენციის მარქსიზმით გატაცების მაგალითი რომლის გავლენას, რასაცირკელია, ვერც გორკი გაექცევოდა, მთ უმეტესად, როგორც „ფსკერიდან“ მოსული აღამიანი. ეს ასეც მოხდა და გორკი არა თუ მოექცა ამ გავლენას, არამედ ჩადგა თვით სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის რიგებშიც და საქმაოთ დაუქვემდებარა მას თავისი შემოქმედებაც.

გორკის შემოქმედების ამ პერიოდში—პროლეტარიატში, თამაშათ შეიძლება ითქვას, პირველათ განაცხადა ცხოვრებაში თავის უფლებაზე და თავის თავზე. თვით მისი შემოქმედების დასაწყისის რევოლიუციონური რომანტიკა კი—ეს რევოლიუციონური სტიქიის ზრდას ნიშნავდა ან როგორც ამხ. გ. გორბაჩივი ამბობს: „ახალგაზრდა გორკი— რომანტიკოსი, ინდივიდუალისტი და „ბოსიაჩესტვოს“ პიეტი მარქსიზმის თავისებური თანამდებზარი იყოთ, რომელიც თავისი ანტი-ნაროდინიკულ, ბუნტარულ, ინდივიდუალისტურ მოთხოვნილებებით, ახლათ ფეხ ადგმულ პროლეტარიატის განწყობილებათა ტენდენციას ეფარდებოდა, ისეთი ფაქტები კი როგორიცაა „მტრები“, „დედა“, „ალსარება“ ხომ პროლეტარიატის ბრძოლის და ყოფნის ბრწყინვალე დოკუმენტებია. მაგრამ გორკი მარტო ამ უაქტებითაც არ აკეთებდა პროლეტარიატისათვის საჭირო საქმეს, მისი შემოქმედების ის დიდი ნაწილი, რომელშიაც გადაშლილია გორკის მთელი შემოქმედების მხატვრული მასალა და ნიკი—მაშინდელი რუსეთის უკულტურობის, სიდამპლის, საშინელების, უგზონბის, ბარბაროსობის, „ოკულტოგრაფინის“ სინამდვილე—თავის მხატვრული ზეგავლენით ანალოგიურ დანიშნულებას ასრულებდა. „ოკულტოვშ-

ჩინა“ კი თავის მხრივ არ იყო უბრალო და პატარა მოვლენა, არა-
მედ გორეკისავე სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ის მწარე სინამდვილე“,
რომლის ფესვები დღესაცაა ჩარჩენილი ჩვენს ყოფაში და, მის ტა-
ლახში „დღესაც ცხოვრობს უბრალო რუსი ადამიანი“.

ისე, როგორც თავის დროშე გონჩაროვმა აღმოაჩინა რუსეთის
ცხოვრებაში „ობლომოვშინა“, გორკამც ახადა ფარდა რუსული
ცხოვრების უფრო საძაგელ მოვლენას „ოკუროვშინას დაწყებული
ისეთი ფაქტებით, როგორიცაა „ქალაქი ოკუროვი“, „მატვეი კოვე-
მიაკოვი“ და გათავებული ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოე-
ბებით: „ჩემი უნივერს სიტეტები“-თ და „სიყრმით“. მ. გორკი შეი-
ძლება ჩაითვალოს „ოკუროვშინას“ დიდ მწერლათ.

დიდ როლს თამაშობენ „ოკუროვშინის“ მოვლენაში ზედმეტი
ადამიანების ტიპები, უფრო მეტი „ოკუროვშინის“ მთავარი გმირე-
ბი ეს სიმართლის მაძიებელი და ზედმეტი ადამიანებია, გაბითურე-
ბულნი საეჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალისტური წყობილე-
ბის შეცვლის ნიადაგზე. („ომა გორდიევი“, „ცოლქმარი ორლოვე-
ბი“, „სამიზი“.)

გორკის უკანასკნელ ნაწარმოებში „არტამონოვების საქმეშიც“
მთავარ გმირებათ ისევ ზედმეტი ადამიანებია. გორკი მტერია ოკუ-
როვშინის, შეუბრალებელი მხილებელი იმისი, რასაც ცხოვრების
ჟაობი ეწოდება.

საინტერესოა გორკის დამოკიდებულების საკითხი ინტელიგენ-
ციასთან. გორკის სახელი მჴიდროდ დაკავშირებულია თავის შემო-
ქმედების დასაწყისიდან მაშინდელი საზოგადოების ინტელიგენციის
ფენებთან. გორკი იმთავითვე მათი სათაყვანებელი მწერალი გახდა.
ბურუჟაზიულ პრესაში გორკის შესახებ ძლიერ ბეჭრი იწერებოდა.
სტუდენტობა ყვლგან აღფრთოვანებით ეგებებოდა. აკადემიამ ის თა-
ვის საპატიო წევრიდ აირჩია. მაგრამ ინტელიგენციასთან დამოკიდე-
ბულების ეს „რომანი“ დიდხანს არ გავრცელებულა.

ჯერ კიდე 904 წელში პიესა „მოაგარაკენის“ გამო, რომლი-
თაც გორკიმ ინტელიგენციის ცრუ რევოლუციონური ლაყბობა გა-
მოააშეარავა, საქმაო უთანხმოება მოუხდა მასთან.

905 წლის რევოლუციის შემდეგ კი, ბურუჟაზიული ინტელი-
ცია საესეათ გაცივდა მის მიმართ. მისი ერთ-ერთი რევოლუციონუ-
რი ნაწარმოები „დედა“, საბაბი გახდა მასზედ თავდასხმისა და
იერიშის. ამტკიცებდენ, რომ გორკის სოციალისტური ნაწარმოებები
საფხვა: ცენტრალური შატრიიალიზმის კუპიდინი წყლით“, რომ გორ-
კი „გაშიშვლებული დემაგოგია“ და სხვა.

აქ საქმე იმაშიც იყო, რომ გორკის ინტელიგენცია თავის მომდევნობის მუშაობაზე თვლიდა, რამდენათ თვით გორკი თავის მოელ რიგ ნაწარმოებებით ნეიტრალურ პოზიციას იქვერდა, მაგრამ, ოდნავ გამოამტავნა თუ არა თავისი პროლეტარული კლასიური სახე, საკმარი შეიქნა, რომ მისთვის ზურგი შეექციათ. შემდეგში გორკის, მართალია თავად ქონდა მთელი რიგი ინტელიგენციური შეცდამები. მიუხედავათ ამისა გამარჯვებულ მუშათა კლასს გორკის სახით ყავს დიდი რევოლუციონური მწერალი, რომელსაც მჭიდროდ აკავშირებს მასთან თავისი რევოლუციონური შემოქმედება და რევოლუციონური მუშაობის წარსული.

გარდა იმისა რომ გორკის შემოქმედება წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურის ძეირფას საგანძურას, მისი სახით პროლეტლიტერატურას ყავს პირველი დამცველი და მფარველი.

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ მუშათა მწერლების პირველი კრებულის წინასიტყვაობაში გორკი სწერდა: „მე ორმათა ვარ დარწმუნებული, რომ პროლეტარიატს შექმლია შექმნას თავისი მხატვრული ლიტერატურა, ისე როგორც თავდადებული შრომით და მსხვერპლის გაღებით მან შექმნა საკუთარი ყოველდღიური პრესა“. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეს მოსახრება პროლეტარული ლიტერატურის შესახებ უკვე არავისათვის სადათ არ არის, მაგრამ გორკის დამსახურება აქაც იმაშია, რომ მან პირველმა გამოთქვა ეს რწმენა.

გორკის სახელს, ხომ დიდი პატივისცემით იხსენიებენ მთელი რიგი ისეთი მწერლები, როგორიც არიან გლადიორი, ივანოვი, ბაბელი, ფედინი, ტრენიევი (პიესა: „ლინია არავალი“-ს ავტორი) და სხვა მრავალი, რაც გორკის კაცომლუვარებას და ლრმა გუმანიზმს მიეწერება.

გორკი დღეს მუშათა მასების ყველაზე საყვარელი მწერალია, დაბოლოს ის ფაქტიც, რომ გორკი გამოსულია ცხოვრების „ფსკერიდან“, რომ მას განვლილი აქვს ცხოვრების მძიმე და საშინელი გზები, მას კიდევ „ახლობელ“ და საყვარელ მწერლათ ხდის, ამიტომაა, რომ ასეთი დიდი ინტერესით იკითხება, თუ გინდ, მისი ისეთი ნაწარმოებები როგორიცაა „სიყრმე“, „ვ ლიდა“, „ჩემი უნივერსიტეტები“, სადაც მისი წარსული ცხოვრების ავტობიოგრაფიული მომენტებია მოცემული.

მაგრამ დღეს თუ მუშათა მკითხველები რაიმეში კიცხავენ გორკის, მხოლოდ იმაში, რომ მან არ მოგვცა არც ერთი მხატვრული ტილო ჩვენი გმირული სოციალისტური ბრძოლების და აღმშენებლობის ცხოვრებიდან.

შესაძლოა გორებიმ შეავსოს ეს დანაელისი, უპასუხოს ჩვენი
დღეების სოციალურ დაკვეთას და მაშინ იგი უფრო საყვარელი და
ახლობელი მწერალი იქნება კომუნიზმის შეენებელი პროლეტა-
რიატის.

კონსტანტინი ლორთიშვილის

პოემა

ჩვენი დროის გმირების-

შესავალი

რა გალრიალებთ! განა არ მესმის
ბრძოლებმა რატომ გადაიარა;
ყიცი რო ძველი გრძნობების ფესვიც
მოსასპობია ჩვენში მთლიანად —

მაგრამ არა მწამს ჩემს გულზე ყალბად,
—თუ სადმე განცდის შავი ტილოა,
ჩემ თავს თითონვე გაუკრა დაფა:
—ნუ შეეხები, სასიკედილოა!
და როგორც სხვებმა ბიბლიის ენით
გავლექსო ცაკის დაზგენილება,
ან კომპარტიის ლირექტივების
დავიწყო უშნოთ გადამლერება.

გრძნობა არ არის ზამთრის სასახლე,
რომ ერთის დაკვრით გააპარტაბო...
და არც ჭური ვარ, რასაც ჩამძახებ,
მექანიკურად ის ამოგძახო.

და თუ ხშირად არ მახასიათებს
ცრუ მემარცხენეს ხბოს აღტაცება,
თუ ზოგჯერ მძიმე კითხვის წინაშე
ჩემი პასუხიც წაბარბაცდება —
ეს ხდება რალგან ახლის ძებნაში
სირთულეები გზაზე ბევრია,
„ხშირად მარჯვენა მკერდის ნაწილი,
მარცხენა მკერდის დიდი მტერია“

ის არც ურყევი მგონია დილით,
ვხედავ საღამოს მხოლოდ მტკერია.

ოცდაოთხ საათს გულში ებრძეიან
გააფთრებული გრძნობებს გრძნობები,
რომ შეან ახალი ადამიანი
ლექსით, ფიქრით და მთელი ცხოვრებით.

ქუჩებზე ნიშნად გამარჯვებისა,
ბარიკადები დავშალეთ გუშინ....
უკველ წამს ვგრძნობ ის ბარიკადები,
გადმოტანილა ეხლა ჩემს გულში;
იქუხონ, სკექონ! ხალისის გარდა,
დევ ტეივილიც მიპობდეს იზრებს;
ხომ გამოჩნდება, ხომ დაინახავთ,
როგორ ვიმარჯვებ საკუთარ თავზე.

შოიმაგრებენ გრძნობები მუხლებს
და ჩემს სტრიქონებს განცეულს, გაშლილს,
ხშირად შეცდომით სავსეს და უხეშს
შეკრიბავს ვინმე საერთო ჯამში,

რომ ააშენოს ურყევ სვეტებად
ეპოსი განვლილ დიდი ომების....

ის მეტყვის, რატომ მომეტევება
ხვალ — გუშინდელი მე შეცდომები,
თუ რა სიძნელით და სიყვარულით
ჩნდებოდა წყება ახალ გრძნობების.

თბილისი
1928 წ.

კარლო კალაძე

მსჯელობა მომავალ საჭმების გამო

აქამდე, თქმული მთამ შეიხიზნა, ჩატიქრებულმა,
ისინი ეხლა ვაკეაცებიერი მხრებ შეკრულია!
მოვიკალ ჯავრი და სხვა ლექსებით ავდიდებულვარ,
ო, კარგო ჩემო, სიცოცხლე უფრო დიდებულია...

ეგ ცა, ეგ მთები, ხე თვალტანადი, მდინარე და სხვა, —
შეკვეუყვარე, ვისწავლე მათი ფიქრის გაგება.
და თუ აგრძოვე დარბაისელი მოქალაქე ვარ,
ვარჩევ ეგ ბოლო საკითხი დავსრა.

სახელდიდება ხომ არ მექნება სახარბიელო, —
აღმოსავლეთით აქრავს ფოილო ირგვლივ მთებია;
მოდიან ხლვამდე და მერე ზღვაში იძირებიან...
ეგ არი სულ სამწერლო თვალი და სარბიელი.

მხოლოდ მსურს შენთან —
აი, შშრომელი კაცი რომ ხარ ჩემო კარგო.
დრო გაეთიო. კარგი სახლკარიც ჰგიშენია!
მიიღე ჩემგან გამარჯობა.

და საარაკოდ

გამარჯვებულმა, — ისევ თუ საქმე აგირჩევია,
ძველი შრომლების მაგიერ ჩემზე ვილაპარაკოთ.

ბრძოლულებულმა. ტვანან კაცები სხვადასხვა ფიქრის,
და სულ სხვადასხვა სიმაღლისანი.
შეკვეულებისარ საღმე ქვეყანას. და ერთი სიტყვით
გულისთქმა სივრცეს დაუმორჩილო საქმე ის არი.

და აგერ, შრომის შემომფარგველები,
თვალების ირგვლივ
ძებს ცა და მიწა,
ვინ გაშორდება დაუმარცხებლათ!

(აქ მოიგონე, თუ რად ჩაუკლეს შმაგი სირბილი
ერთხელ ტფილისთან ვეფხს მომარჯვებულ მუხლებში ხელად)

თურმე რა არი ველს გათვალგული რომ გაურბოდე,
თუ არა ერთხელ რა არი მთებიც გადენადირა
აქ ვეფხზე მხდალი ვაჟყაცები ხომ არ ბუდობენ
კბილი გაეკრა ისე ადვილად.

ჩალურსმული ხარ. უთვალავი ხმა უნდა იშოვო
რომ ჩაძირული სურვილები წამოიმართონ.
ხარჯავ გულლონეს, შემოგეხარჯენ წლები საშენო
და რა თქმა უნდა კრულვა ხარ მარტო.

წერტილის ირგვლივ დაბრმავებული ხალხი ირევა,
და შენდა ბელათ მოგწყურებია გაქქსლო სადმე.
ერცელია მიწა! და რამდენს თვალი გაეხილება
იმდენი გზაა მაშასადამე.

აგერ, ხალხს უთქვაშს და ქალაქები აშენებულან,
აგერ, სახლები სართულობით ცაში იზრდება...
აგერ, გაეშალო ხმა მოედანზე — და დიდებულათ
ლია სარქმელებს სიხარული შეაფრინდება.

ცხრაშეტი წელი შემსრულებია, — მეტი იქნება
შეილი კარ თქვენი;
შრომა და ბრძოლებ გადახდილების.

თქვენ მიერ შექმნილ ცხოვრების ყოველ დადგენლებას
მე შეგნებულად ვემორჩილები.



პეტრე სამხრეთი

დიდი ბლინდა უცირილაპე

კარი გორები



ბლინდა ყვირილაძის პირველმა სენსაციურმა ლექციამ დიდი
მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხალხში. ზოგი აქებდა, აღიდებდა... მ-
ბოდა: — ორიენტაცია კარგადაა აღებული; ძირს რუსეთი, წინ ევრო-
პიზაკიისკენ... ზოგი კი ლანძლავდა, აგინებდა, ამბობდა, — შტერია,
უქეურა, ფუტურისტია, (ფუტურისტს ამ შემთხვევაში ამბობდნენ ფუ-
ტურო ხის გაგებით) თორემ ვის მოსწრებია, ვის გაუგონია საუკუ-
ნოებრ ჰეზრდილ უზარმაზარ ერზე ფეხის გადალაჯება და ევროპა-
თან შეერთებათ... ეს ხომ განუხორციელებელი ოცნება, უტოპია!
მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბრძოლა მაინც დაიწყო და ამ ბრძოლაში
ერთ მხარეზე იდგა ბლინდა ყეირილაძე თავის მიმდევარ მეგობრებით,
ხოლო მეორე მხარეზე კველა საღათ. მოაზროვნე ქართველი ინტე-
ლიგენტი, რასაკირველია ბრძოლა იყო უთანასწორო, რადგან საბედ-
ნიეროდ, ქართველ ერში საღად მოაზროვნე ინტელიგენტი უფრო
მეტი ერია, ვიდრე ფუტურო ხესავით მოაზროვნენი.

ამიტომ ბლინდა ყვირილაძეს და მის მეგობრებს დიდი სულ დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდათ იმისთვის, რომ ეწარმოებიათ ბრძოლა ხან მოგერიებითი და ხან შეტევითი... მეტ ნაწილად კი მოგერიებითი, იმიტომ რომ ხშირად მრავალ-რიცხვები საღად მოაზროვნეთა იერიშები ძალზედ მშვავე და სასტიკი იყო.

ვერ ვიტუვით რაიმეს იმის შესახებ: პოვეს თუ არა ფუტურო ხესავით მოაზროვნეთა იდეებმა რაიმე ნიადაგი ხალხში, მაგრამ ეს კია, რომ ბლინდა ყვირილაძისა და მის მეგობრებს შორის დამყარდა ისეთი მჭიდრო ძმური კავშირი და მეგობრობა, რომ თვით მტრებსაც კი შეშურდათ ეს და ხშირად ისინიც კი ამით აღტაცებულნი, ასე იტყოდნ ხოლმე:

— ყოჩალ ბიჭო, ბლინდა ყვირილაძე, რომ ასეთი ინტიმიური მეგობრობა ჩამონერებე საქართველოში... თუ ეს ევროპიულობაა, მაშინ მთლათ წყალ წალებული არ ყოფილა შენი იდეებიო!!.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბლინდა ყვირილაძემ მაინც ბევრი იბრძოლა, იჩხუბა, იდაგა, რომლის შესახებ ჩენ პირველ კარშიაც ვილაპარაკეთ, და ბოლოს ამ ბრძოლა-დავიდან ის მაინც გამოიტანა, რომ თავის გარშემო შექმნა წრე თავის მეგობრებისა, რომლებიც გარდა იმისა, რომ პატივს ცემდენ ბლინდა ყვირილაძეს, უყვარდათ ერთმანეთი და ამნაირად ქმნიდნ ნიმუშს იმ ნაზ და ინტიმიურ მეგობრობისა, რომლითაც ეგრე ლარიბია საქართველო.

და აი, ამ საღამოს, როცა ბლინდა ყვირილაძემ პირველად გაბედა გადასულიყო გასაბჭოებულ თბილისის ქუჩებში, მის ბინაზე თავი მოიკარეს მისმა ახლო მეგობრებმა.

მეგობრების მოსვლა ბლინდა ყვირილაძის სახლში საერთოდ ამნაირი იყო:

ქუჩიდან დანახვა ფანჯარისთან მდგარ ძვირფას უანასი; ქუჩიდანვე გალიმება და გაწითლება მისთვის; შემდევ შემოსვლა და კარებთან ოდნავ შექრება .. შემდევ ისევ გაწითლება და ქუდის მოხდით და ჩქარი ნაბიჯით ძვირფას უანასთან მისელა და მოწიწებით ხელზე მთხვევა, ამის შემდევ ბლინდა ყვირილაძითვის მორიდებით და პატივისცემით ხელის ჩამორთმევა და შემდევ კიდევ პირველ-ხანებში ცოტათი დაბნევითი მოკითხვა და ამბების დაწყება.

და აი ამ საღამოსაც ყველა ეს ცერემონიები შეასრულეს რა სათითაოდ ყველა მოსულმა, ბლინდა ყვირილაძის საქმით ფართო და განიერ თთახში იღმოჩნდა; რამოდენიმე პოეტი, მხატვარი, მუსიკასი, ვექილი, მსახიობი და პროფესორი და ორი ახალგაზრდა „უენტლემენი“ განუსაზღვრელ პროფესიით.

აქვე იყო რამოდენიმე ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილი, რომელიც პირველ ხანებში ყველაზე უფრო მეტ მორცვობას და მოქმედალებას იჩენდენ.

ხანდახან ხდებოდა ესეც, რომ ბლინძა ყვირილაძე ჩემიდ, ალ-მაცერად დაუწყებდა მათ დაეინებით ცეკვას, რაც შეუმჩნეველი არ რჩებოდა ძვირფას უანას და იწვევდა ძირს წარბების დაწერების რაზედაც ბლინძა ყვირილაძე დაჭრილ ჯიბგირივით გაწითლდებოდა...

მაგრამ აქვე უნდა ვალიაროთ, რომ ბლინძა ყვირილაძეს ეს მოსდიოდა ისე, მისდა ძალაუნებურად, თორებ ის თავის თავიდ ცხადია არას დროს არ დათანხმდებოდა მაზე, რომ ამ მტრედივით მოგოგმანე ქართველ ცირებზე გაეცვალა თავისი ძვირფასი უანა, რომელიც მართალია უკვე ხანში შესული იყო და სახეზედაც საკმაოდ შებერტყილი, მაგრამ სამაგიეროდ ის იყო ეფროპიელი და მაშასაღამე იცოდა ლაპარაკი და ცხოვრებაც ევროპიული.

როდესაც სტუმრები მიღავდენ საკმაოდ ფართო და სინათლიან სასტუმიო ოთხში, წამოდგა ერთი ვექილი ჩინარივით მაღალი ტანის და წვრილ-თვალებიანი და წარმოსთქვა:

— ბატონებო, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩენ აქ პირველად შევიკრიბეთ და ამიტომ, რადგან საქართველო დღეს სულ სხვა ქვეყანაა და ჩენ კიდევ სულ სხვა, ამისთვის საშიშია, ვინმენ ეს ჩენი აქ ყოფნა, რაიმე არალევალურ კრებად არ მიიღოს და ჩეკაში არ გვიკრას თავი, ამიტომ ჩემი წინადადებაა, რომ კარებზი დავაყენოთ ვინმე დარაჯათ ..

საქმაო იყო ეს სიტყვები, რომ ყველას შეეგრძნოთ (მათი აზრით) მომენტის სიმძიმე, ე. ი. ის, რომ ისინი არიან სულ-სხვა და მუშურ-გლეხური საქართველო კი არის სულ სხვა.

ამიტომ ცოტათი დალონებისა და აქა-იქ ლრმა ამოოხვრის შემდეგ, ყველა დაეთანხმა მაღალ-ტანიანს და შესავალ კარებთან დგომა და დარაჯობა მიანდევს ერთ პოეტს, რომელიც იყო ნაზ თვალება და გრძნობებ სათუთა.

საღამო იყო გაზაფხულის და ახალ სიცოცხლის სურნელება ტრიალებდა ირგვლივ, ელექტრონით გაჩირალდნებულ რუსთაველის პროსპექტზე ფუსტუსებდა ხალხი. და იყო სიცილი და უზრუნველი კისკისი.

პოეტი—გრძნობებ სათუთა, იდგა დარაჯათ, შესქეროდა მის წინ მოსეირნე ხალხს და უკვირდა.

— სწორედ ისეა, როგორც ამ ორი თვის წინ, თუ შარშან და შარშან წინ იყო, არაფერი ცვლილება არ ეტყობა, არა. მართლა

არ ყოფილა ეს ბოლშევიკები მხეცები და კაცი ქამიები, არა...
— ამბობს გრძნობებ სათუთა თავისითვის და თან აგონდება,
რომ სულ რაღაც ამ ორი თუ სამი თვის წინ, ბლინდა ყვირი-
ლაძისა და სხვათა ჩაგონებით როგორ ეუბნებოდა ხალხს: — ხალხნო,
ბოლშევიკები კაციჭამიებია, მხეცებია, ყველას დაგხვრიტავთ,
გაგელერენო... — როცა მას ამის შესახებ, რომელიმე მუშა ან ჯარის-
კაცი მიახლიდა პირში: შენ სტუუი, სტუუიო — ის ცოტათი გაიძერე
ბოდა, ცოტათი კიდეც აიქოჩირებოდა და ასე შეუბლვერდა ხოლმე: —
აიტქ! შე თვით ბოლშევიკო, შენ! როგორ თუ ვსტუუი, მე პოეტი
ვარ და პოეტის ტყუილი აბა, ვის გაუგონიან!! —

და აი ეხლა სდებას გრძნობებ სათუთა და ბრაზობს, რომ
მისი სიტყვა არ აღსრულდა და ის გამოვიდა ცრუ, ე. ი. მან მოა-
ტყვილა ხალხი და ეხლა არის ის შერცხვენილი. ამიტომ არის, რომ
გრძნობებ სათუთა დღემდის გაურბის იმ პირთა შეხვედრას, რომლებ-
საც წინად ის უმტკიცებდა ბოლშევიკების სიმხეცეს და კაციჭამი-
ობას.

მაგრამ მაინც რაა ეხლა ეს ხალხი ეგრე უზრუნველად; რომ და-
ისკის ებს მის წინაშე?! მას ხომ არ დასცინიან!!.

— ხე, ხე! — ეს ცხოვრება ბითურია, ჯიუტი, ფიქრობს გრძნო-
ბებ სასუთა და თან ჯავრობს, რადგან მას ეხლა გონია, თითქოს ეს
ხალხი თავის მხიარულ სიცილ-ხარხალით მის გულზე დაჯირვალობს
და აწვეთებს შიგ შხამებს იმისას, რომ ის ცრუ და შერცხვენილი
არის.

მაგრამ მიგანებოთ მას თავი აქ დროებით და ისევ დაუბრუნ-
დეთ დიდ დარბაზს, რომელიც გაჩირალდნებულია ეხლა ელექტრონის
ჭალებით.

— ბატონებო... — ამბობს ბლინდა ყვირილაძე, როცა სათუთა გა-
ვიდა გარედ სადარაჯოთ, ამ სიტყვის თქმა და სიჩუმის ჩამოვარდნა
ერთი იყო.

— ბატონებო, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გავიდა ორი
თვე და ეხლა ჩვენ ვართ ერთად... აბა, შემხედეთ მე, არ შეუქამი-
ვარ არავის... აბა, შევხედოთ თქვენ, არც თქვენ შეუქამიხარ
არავის. მაშასადამე აქედან დავასკენათ ის, რომ ბოლშევიკები
არ ყოფილან კაციჭამიები და თუ ეს ასეა, ჩვენც ვლალადვუოთ: დი-
დება შენ უფალო ჩვენო, რამეთუ დაგვიფარე ჩვენ განსაცდლისავან,
ამინ!... — და აქ ბლინდა ყვირილაძემ აღაძყრო ხელები ზევით, რასაც
მიბაძეს მისმა მეგობრებმაც, რის შემდეგ კვლავ განაგრძო: — მაგრამ
ბატონებო მდგომარეობა მაინც სულ სხვა ნაირია, ესე იყი ბოლშე-

კიცები არიან მუშები და გლეხები და ჩვენ კი ვართ ინტელიგენტები. ლოლიურად ასე უნდა იყოს. რომ ჩვენ უნდა ვასწავლოთ მუშას და გლეხებს კუთხა, მაგრამ რადგან ჩვენ ბოლშევიკები ამის ნებას არ ვაძლევენ და არც მოვცემენ, ამისათვის უნდა მოვიქცეთ დიპლომატიურად, ე. ი., ჩვენი საკუთარი ფიზიკური არსებობაც შევინარჩუნოთ და, მდგომარეობაც გავიუმჯობესოთ. ამ მიზნით ჩვენ ამ კრებაზე უნდა აეირჩიოთ დელეგაცია, რომელმაც ხვალ თუ ზეგ ბოლშევიკურ მთავრობას, უნდა მოახსენოს! – თქვენ ბოლშევიკურო მთავრობავ, ხართ მუშები და გლეხები, მაშასადამე თქვენ არა გაქვთ სწავლა, კულტურა და ცოდნა; ჩვენ კი ვართ ნასწავლი ხალხი, ე. ი. ვიცით ყოველივე და ყოველივე ცოდნით გვაქვს თავი გამოტენილი. ამისათვის გვეცით ჩვენ პატივი და გვიცანით, რომ ჩვენა ვართ საქართველოში ყველაზე დიდი საზოგადო მოღვაწენი. შემდეგ კიდევ დაუდოთ ერთმანეთს ხელშეკრულება, რომ თანასწორად ვემსახუროთ ერთმანეთს რასაკირველია, დროებით; ხოლო შემდეგ კი, როცა ცხოვრება სულ სხვანაირად შეტრიალდება, თქვენ თქვენი გზა გიქნებათ და ჩვენ კიდევ ჩვენი. — თავისითავად ცხადია ბატონებო, ეს უკანასკნელი მხოლოდ ჩვენს გულში იქნება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ჩეკაში ამოვყოფთ თავს. — და აქ ბლინდა ყვირილაძე შექერდა, გადაავლო თვალი ოთახში მყოფთ, რომ გაეგო, თუ როგორი ყურადღებით უსმენდენ მას, და როცა შეხედა, რომ ყველა სულგანაბული იყო, დაიწყო ისევ:

— ოჰ, და, ბატონებო უთხრათ მთავრობას ასე: გვიცანით და გიცნობთ, როგორც დეისურეთ, ისე დეფაქტოთაც! ჩვენ დღემდის მოზრდილი ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა და აგრეთვე ზოგი საზოგადო მოღვაწენიც დაგვცინოდნენ, ამუჩად გვიგდებდენ კიდეც ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიყავით პროგრესისტები. ამიტომ, რადგან ჩვენ პირველი მოვლივართ თქვენთან და გიწვდით ხელს, თქვენც ჩამოგვართვით გულმხურვალეთ ეს ხელი და დაგვიცავით იმ ხალხიდან, რომელიც ჩვენ მუდამ გვებრძოდა და გვებრძების ეხლაც — აი, ასე მიემართოთ ბატონებო, მთავრობას და ვიმეორებ, რადგან მთავრობა მუშურ-გლეხურია და არაფერი არ იცის, ამისათვის ის ჩვენ ყველაფერს დაგვიჯერებს და ამნაირად მისი წყალობით და დაბმურებით ჩვენც ჩვენ საქმეს გავაკეთებთ. მართალია, ბატონებო, დროებით ჩვენს გულში, ჩვენს საწყალ და ტანჯულ გულში, დროებით მეთქი ვიმეორებ, უნდა ჩავიხშოთ ჩვენი წმინდა პატრიოტული გრძნობები, ჩვენი სიყვარული ევროპისადმი, მაგრამ რა უყოთ მერე, როცა ჯერჯერობით სხვა გზა არა გვაქვს; მე ვიმეორებ ეს დროებითია და

შემდეგ, როცა ჩვენ მოგვეცემა ფრთხები გასატრენად, რო-
გორც არწივს, ორბს ან და კიდევ შევარდენს, ჩვენც ჩვენს კამა-
რებს გავშლით ლავარდ სივრცეში და საქართველოსაც გაუკვირ-
ვებთ ჩვენს დიად და უკვდავ მოძღვრებით.

გაათავა ბლინდა ყვირილაძემ თავისი სიტყვა და აბრეშუმის
ცხვირსახოცით შებლზე ოფლის წმენდით დაჯდა თავის ადგილას.
სიტყვის შემდეგ ჩამოვარდა სიჩუმე. სიჩუმემ კი დაბადა უხერხულო-
ბა, იმიტომ რომ მოწონების ნიშანა, რომ დაექრათ ტაში ბლინდა
ყვირილაძისთვის არ ვარგოდა, რადგან ჯერ ერთი არ შეეფერებოდა
ეს მის საკაპიტულიაციო სიტყვას და მეორე, არ იყო ებლა დრო
(მათის აზრით) საერთოდ ტაშის ცემისა და ვაშის ძალის, მაგრამ
ეს მძიმე სიჩუმე და უხერხულება დაარღვია კუნთებ ჩაფსკვნილმა
ბელეტრისტმა, მან სთქვა ასე:

— ბატონებო უნდა დავეთანხმოთ ბლინდა ყვირილაძეს, ჯერ
ერთი იმიტომ, რომ ის ჩვენი ბელადია, და მეორე კიდევ იმიტომ,
რომ სხვა გამოსავალი არ არის დღევანდელ მეტად საბედისწერო
მდგომარეობიდან, ვამბომ მოტყუალებით და ეშმაკობით შეიძლება
გავათრიოთ ეს ჩვენი წუთი-სოფელი, გავიცეთ ფონს, ან და კიდევ
უკეთეს შემთხვევაში ბურთიც კი გავიტანოთ ლელოს, თუმცა ამაში
უკველთვის კი მეპარებოდა ეჭვი... მაგრამ ჯერ-ჯერობით კი, ვი-
მეორებ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც
ამას გვირჩევს ჩვენი მეთაური ბ. ბლინდა ყვირილაძე.. — გაათავა
კუნთებ ჩაფსკვნილმა ბელეტრისტმა და თავის მარაოსავით გაშლილ
წვერებში თითების ფათურით ჩამოჯდა იქვე სკამზე.

აქა იქ გაისმა ხმები:

— კარგი, იქნება, დელეგაციის არჩევა.

— მოვიქცეთ ისე, რჩებორც გვირჩევს ბატონი ბლინდა ყვი-
რილაძე.

— ამით ეგებ შევინარჩუნოთ არა თუ მარტო ჩვენი საკუთარი
ტყავი, არამედ ჩვენი კეთილდღეობაც.

— ხომ გაგივნიათ, დათვმა რომ მოგერიოს ბაბა დაუ-
ძახეო!..

— ოჲ, და აი — წამოდგა ისევ ზევით ჩინარივით მაღალ ტანის
და წვრილ-თვალება ვეჭილი: — ჲ და, რადგან ჩვენ ბოლშევიკები
მოგვერია წავიდეთ და ყველაზე უწინ დაუძახოთ მათ ბაბა — ამით
დამერწმუნეთ ბატონებო ჩვენ მოუგებთ იმათ გულს, რადგან ქარ-
თველ ინტელიგენციიდან მარტო ჩვენ ვიქნებით პირველნი მათ წი-
ნაშე წარმდგარნი მორჩილების გამოსაცხადებლად. ამისთვის ჩემი

წინადადებაა მოვიქცეთ ისე, როგორც გვირჩევს ამას ბ. ბლინძა
ყვირილაძე.

წერილ-თვალება ვექილის შემდეგ ილაპარაკა მხატვარმა, პრო-
ფესორმა და ერთმა გაურკვეველ პროფესიის მქონე ახალგაზრდამ,
რის შემდეგ თითქმის ყველა მივრდა იმ დასკვნამდის, რაც ბლინძა
ყვირილაძემ წამოაყენა. ამის შემდეგ აირჩიეს დელეგაცია, რომლის.
თავმჯდომარედაც დანიშნეს თვით ბლინძა ყვირილაძე.



გრძნობებ სათუთა, კი გარეთ იდგა... დარაჯობდა კრებას
თან აკერძოდოდა ათასნაირად აზილპილებულ და უზრუნველად
მოყისკისე ხალხს და უკირდა, რომ არ გაუმართლდა იმედები, რომ
ბოლშევიკები რევოლუციერებით წელზე, რომლებიც დასეირნობენ აქვე,
არ ერევიან ხალხს და ამნაირად არ აუპატიურებენ აი, იმ ლამაზ
გულ-ნაზ ჩიორებს, ან და კიდევ იმ ჯეორნებივით ყელ-მოლერებულ
და მედილურ სიდინჯით მიმავალ ბანოვანთ, რომლებიც ეგრე ეკის-
კისებიან და ესაუბრებიან მათ გვერდში მოსეირნე მოწაფე ახალგაზრ-
დობას თუ, ჩახამებულ კოსტიუმებში გამოწყობილ ფრანტებს.

და უკვირს გრძნობებ სათუთას, და სდარიჯობს ეხლა ის კრე-
ბას, და ხშირად შიშისაგან უფანკუალებს გულიც, რომ ვინიცო-
ბაა ამ რევოლუციერებიანმა ბოლშევიკებმა, რომლებიც ეგრე ალერია-
ლებენ ეხლა თვალებს არ მიუხდენ მას, რომ ის კრებას დარაჯობს
და ამნაირად თავი არ უკრან ჩეუში, მის მეგობრებთან ერთად.

სდარაჯობს კრებას, მაგრამ ეს რა არის? ვილაც ორმა რევოლ-
ციელიანმა თეთრბლუზიანმა ჩეარი ნაბიჯით მისკენ წამოიწია... აუბავი-
ბუღდა გრძნობებ სათუთას გული, უკანკალდა მუხლები, ყალყზ
დაუდგა თმა, ვაი თუ მასთან მოდიან მის და კრების დასაჭერად, ვაი
თუ... მაგრამ რევოლუციერიანებმა არც კი მიაქციეს მას ყურადღება
და ისევ განავრძეს გზა.

დამშვიდდა გრძნობებ სათუთა, შეუწყდა მუხლთა კანკალი,
მიეცა ისევ სახეზე კაცის ფერი, რომელიც საესებით დაკარგა რე-
ვოლუციიანების მოახლოვების გამო და გულში მადლობა ღალადყო
უფლისადმი, რომ გადარჩა...

ამ შიშში და დავიდარაბაში იყო გრძნობებ სათუთა, რომ ამ
დროს მისკენ წამოედიდა სახეზე პირ-ბადე აფარებული და შევ აბრე-
შუმის ტანისამოსში გამოწყობილი იხალგაზრდა ბანოვანი.

ბანოვანი მოხდენილი ტანის იყო... ქონდა ფეხები კოხტა და
წვრილი, შევ პირდადიდან ლამაზი თვალები სჩინდა,

მოდის ბანოვანი გრძნობებ სათუთასთან და მმბობს ასე:

— ბატონო მირიან, მიცანით?! — ამ სიტყვებთან ერთად ბანოვანმა ცოტათი აიწია პირსაბურველი და ამნაირად თავისი სახე დაანახვა გრძნობებ სათუთას.

— თეკლე თქვენ?! — წამოიძახა სიხარულით და განცვიფრებით გრძნობებ სათუთამ და თვალები დააკუირა მის წინ მდგარ ლამაზ ბანოვანს.

— დიახ, მე... მიცანით!.. კარგია, რომ კიდევ არ დაგვიწყებივართ, — უპასუხა ბანოვანმა თუმც გატეხილ, მაგრამ მაინც კექლუც ღიმილით და გელივით ჟულ-მოლერებულმა თავისი ლრმა და შავი თვალები ჩამოტერა მირიანის განცვიფრებით მოფუსტუსე თვალებს.

— იყავით და დარჩით უსამართლო, თორებ რას ნიშნავს კარგია, რომ ჯერ კიდევ არ დაგვიწყებივარ!.. — განა ეგრე მიცნობთ!

— გიცნობთ ისე, როგორც საზოგადოთ უნდა იცნობდეს კაცი პოეტს. — უპასუხა თეკლემ და გაიღიმა.

— კი, მაგრამ მე ხომ გავირჩევი მათგან?!

— მაინც რითი?!

— გრძნობებით... მე ხომ რაღაც განსაკუთრებული და ნორჩი გრძნობები მქონდა და მაქვს საერთოდ ჟენერალ მიმართ, რაც უაღრესად ჩემს პუმანიურობას ამტკიცებს.

— ვექვობთ რომ ეს ასე იყოს, მაგრამ მაინც გეთანხმები თქვენ თუნდაც იმიტომ რომ თქვენი გრძნობათა გაღვივების მიზნი მე ვიყავი.

— და მერე როგორ უპასუხეთ თქვენ ამ ჩემ გრძნობებს?..

— ძალიან ცუდათ... მაგრამ გთხოვთ ნუ გამასხენებთ... მე თვით ვიტანჯები დღეს ამის ვამო. — სთვა თეკლემ და გრძნობებ სათუთას ისარივით გამოტყორცნილ თვალთა ელვარებას თვალები აარიდა... ძირს დახარა... .

გრძნობებ სათუთას თეკლეს ამ უკანასკნილ სიტყვების ვამო გული სიხარულით აუჩქროლდა და რაღაც იმედებით უცებ აღტაცებულმა შესძახა:

— როგორ თეკლე, თქვენ უკვი ნანობთ... თქვენ იტანჯებით?!!

— დიახ, ასე ემართება ყოველთვის ცხოვრების მიერ ჟენერალ გაწბილებულს... მაგრამ მაინც და მაინც მე აქ დიდი ბრალი არ მიმიღვის; აქ დამნაშავე იყო უპირველესად ყოვლისა ბლინდა ჟეირილაძე და შემდეგ კიდევ ქართული ჩამორჩენილობა და ქართველ ქალის ლტოლვა ყოველგვარ ექსცენტრიულობისაკენ. და რა გასა-

კვირია, რომ ყველა ამაებს მეც ჩავეთრიყ და გავეხვიყ თავის ბატეში.

— მაგრამ სიყვარული, თქვენ, რომ გქონდათ ჩემი სიყვარული?!..

— სიყვარული მე იმ გაებით, როგორც, თქვენ გესმის არ მწამდა და არც ეხლაც მწამს, იმიტომ რომ უპირველესად ყოვლისა მე ვარ დედაკაცი და მასულდგმულებს ყველაფერი დედაკაცური. მე თქვენ მიყვარდით, მაგრამ მიყვარდით, როგორც მამაკაცი. მე ვფიქ-რობდი თქვენზე გათხოვებას იმისათვის, რომ ხომ უნდა გავთხოულიყვი. ამიტომ ასეთ მდგომარეობაში, როცა მოელი ჩემი ოცნება მხოლოდ გათხოვება იყო, რა გასაკვირველია რომ მე ბლინდა ყვირილაძის მოწოდებას ქართველ ქალებისადმი: გაყევით ინგლისელებს, ცოლებათო, მეც ჩავე ჩარი და მოვისურებ ბლინდა ყვირილაძის თქმის არ იყოს, გაეკრძინელება და ამით კი ქართველ ერის გამედნიერება, გახალისება.

— თეჯლე შავერვებს თქვენი ლაპარაკი — ამბობს ცოტათი შემკრთალი და თვალებ დაჭურილი გრძნობებ სათუთა — თქვენ გახსოვთ მაშინ, რომ მეფიცებოდით: ცოლად გაყოლას და ერთგულებას? გახსოვს ერთხელ, რომ განათლების მინისტრმა ბანკეტი გაუმართა ინგლისიდან ჩამოსულ, რომელილაც მეცნიერს, ვვონებ ვვარად მისტერ ბრეა ვურდს..., უამრავი სტუმრები იყო ბრწყინვალე საზოგადოებიდან. . იყვნენ ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლები და სამხედრო ატაშები... ყველას ფრაკები და სმოკინგები ეცვათ, ქალების ტან-მორთულობა და სიმშვენიერე ზღაპრულ ოქროს კოშკიდან გაღმომდგარ დედოფალს მოგაგონებდათ. ირველივ იფრქვევოდა: სიხალისე სიმდიდრე და ფუფუნება. ელექტრონის ჰალებით გამოწყინვებული საცემავო და საქითხო დარბაზები, ათასაირ ფერად ვარდებით მორთული კურზალები და ჩესტიბიულები; აქა-იქ კარებთან ცოცხალ ყვავილების არკები და თალები და ელექტრონის ყვითელწითელ-ლურჯი და მწვანე ილიუმინაციები, რალაც ჯადო ზღაპრულ სამოთხეს ქმნიდა ირველივ, და ამ სამოთხეში ნაზად, ტებილად და მელოდიურაზ უკრავდა ორკესტრი და ბეთხოვენის, ბახის თუ ჩაიკოსების მუსიკის ჰანგები ეხვევილენ ირგვლივ ყველას, ყველას და ათრობდნენ ანეტარებდნენ მათ. და იყო მოთენითა ვნებით აღვზნებულ ეროსის თუ დიონისის და ფსიხეიაც სიყვარულის ფრთების მოქნევით დაწურჩულებდა აქა-იქ ესტბიულებში მდგარ თაიგულების ვაზებთან თუ განმარტოებით მდგარ სავარძელში ჩაშვებულ რწყვილთა ბაგეებზე.

მე ვიდექი ამ დროს მარტო და გიცქეროდი შენ...

შენ აგვიატებოდა ერთი მოხუცი პროფესორი (მე იმას ვიცნობ და იმ დღის შემდეგ მძულს ის, როგორც არავინ) და ხან წევრების ჩიჩქნით, ხან ზარვლის ზევით აწევით და ხან კიდევ სათვალეების ცხეირიდან მოხსნით, რის შემდეგ სინათლისაგან თავბრუ დასხმულ ბუსავით, იყყიტავდა თვალებს, ფრთებ ჩამოყრილ და დეზებ მოტე ხილ ბებერ მამალივით დაბორიალებდა შენს გარშემო და გებურ-დლულებოდა რაღაც ეცებს...

შენ იყავი შეველივით ყელ-მოლერებული, ლერწამივით მოქნილი და ფეიასავით ლამაზი, მაგრამ შენი ფართო ცოტათი ნაღვლიანი ზავი თვალები, შენი მოვარესავით წმინდა, უკოდველი, მაგრამ ეხლა ცოტათი კოპ-შექრული სახე და რაც მთავარი, ხანდახან ნაძალადევი გაბზარული გალიმება ლალის ბაგეთა, აშეარად ამზობდენ მას, რომ მოგაბეზრა შენ თავი ამ ვიღაც დამთხვეულმა პროფესორმა, რომელიც თავს გევლებოდა შენ.

ამ დროს თითქოს ქარიშხალმა სული მოითქვა და ისევ ამოიქ-შინაო, აგუგუნდენ მუსიკის აკორდები, და საცეკვაოს მხიარული ჰანგებით გაისას დარბაზები:.. აფრთიანებული მუსიკასთან ერთად აჩქროლდენ გულებიც და წყვილმა-წყვილზე გაიქროლეს დარბაზე-ბისკენ „სიკვდილის ტანკოს“ საცეკვაოდ.

მახსოვს იმ ლამეს ცველაზე ძლიერი და ბეღნიერი იყო ბლინდა ცვირილაძე. ის დაჭროდა აქეთ-იქით, როგორც მერცხალი, გამოწყობილი თავის მერცხალივით კუდ-მოკაუჭებულ ფრაქში, ლაკის ტუფლებში და თეთრ ხელთათმანებში, და მარცხენა გულჯიბი-ბიდან აბრეშუმის ცხვირსახოც ამოჩრილი, ხან ერთ უცხოელთან მიიჭრებოდა, ხან მეორესთან... ლიმილით გადაუკრავდა მათ სიტყვებს რაღაც-რაღაცეებზე (ალბათ მასზე, რომ ქართველებმაც იციან ეკრო-პიული ჩატამა-მორთულობა და დროს ტარება) და შემდეგ კი, რომელიმე ბანოვანს, თუ უცხოელის ცოლი ან და მოხედებოდა ხელში, იმისაც მოხვევდა ხელს წელში და ცეკვით შეერეოდა მოთამაშეთა გუნდში.

მე ვიდექ განხე და გიცევეროდი შენ.

მე მიტაცებდა შენი ლორთქო ტანის ნაზი და მსუბიექტი რხევანი.

მე მატყვევებდა შენი ნახშირივით ზავი თვალების ლამესავით ნაღვლიანი იდუმალება და როცა ის თვალები მომაპყარ მე, მე მივხედი, თუ როგორ იყავ მობეზრებული შენ იმ გამოყეუჭებულ პრო-პესორის გამო. მინდოდა მე მაშინ მოქსულიყავ შენთან, მოგსალმე-ბოდი, დაგლაპარაკებოდი, მაგრამ რაღაც თავმოყვარეობა მიშლიდა მე ხელს შემესრულებია ეს ჩემი წადილი.

და ვიდექ მე მარტო და გიცქეროდი შენ.

და ერთხელ, როცა პროფესორთან ერთად თქვენ ჩემკენ იბრუნეთ პირი, მე დაეინგძით გაგიყარე თვალები თვალში და შენც აიღეწე უცებ. ოდნავი სიწითლე გადაევრა სახეზე და თავი დახარე.

ამ დროს თქვენ აშივ პროფესორთან მივიდა მასავით ბებერი და დამთხვეული პროფესორი და როცა მისალმების შემდევ, მათში ჩამოვარდა ალბად რაღაც შშრალ მეცნიერულ თეორიაზე ლაპარაკი, შენ მოწყენილობის გამო აგიტყდა უცებ მთენარება და ბოდიშის მოხდის შემდევ გამოსწიო ჩემსკენ...

გახსოვს თეკლე იმ ღამეს შენ პირველი მოხველ ჩემთან, ხომ გესმის!—შეიძლება მე მუდამ და ყოველთვის მხოლოდ შენზე ვფიქრობდი, შეიძლება მე თქვენში შევარებული ვიყავი მაგრამ შენ მაინც პირველი მოდი იმ ღამეს ჩემთან და ეს კი, მუდამ ნუგეშად ექნება ჩემს გულს, აი ამ ჩემ საწყალ გულს.

შენ მოდი ჩემთან და მითხარი ასე:—ბატონო მირიან! მომაბეჭრა თავი ამდენმა ფარისევლობამ... გავშორდეთ იმ დარბაზს. — ამ სიტყვებთან ერთად ჩამსკიდეთ ხელი და ვამომიყვანეთ გარეთ. ჩენ დავვევით ერთ ბნელ კუთხეში მდგარ ხავერდის გრძელ დივანზე... შენ იხავი ჩუმათ და ნახევრად ჩემ მხარზე თავ მოყრდნობალი, სპილოს ძელის თეთრ მარაოთი იგრილებდი სახეს.

შენ გიხდოდა თითქოს რაღაცის თქმა და ვერ ბედავდი.

მე გითხარი:

— თეკლე, უფალი ლერთი არ შევარჩენს შენ ამდენ სიკერვეს.

— როგორ?—მიპასუხე შენ უცებ, გამორკევეულმა და თავი ზედ აიღე. თან ალმაცერად რაღაც გაუგებრად გაიღიმე.

— დივმდნარვარ შენზე ფიქრით და შენ...

— მართლა, მეც ვფიქრობდი, რომ ასე იქნებოდა...—მიპასუხე შენ უბრალოდ, თითქოს არაფერიათ და განაგრძე მარაოს ქნევა... მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მარაოს ქნევა შესწყვიტე; ზედა ტანით ამაყათ აიმართე დივანზე, ჩამაცერდი თვალებში მედიდურ გამოშეტყველებით და შემდეგ უცებ მოწყვეტით დამეკარ ბაგეზე...

დამეკარ ბაგეზე და დამიწყე კოცნა... შემდეგ ჩემს მელავებიდან ძალით გაითავისუფლე თავი და ზედა ტანით დივანზე ისევ ამაყათ გამართულმა მითხარი:

— ხედავ მირიან, მე შენ გეოცნი, მაგრამ არ იფიქრო მიყვარხარ... არა... მე სიყვარული, სანტიმენტალობა, რომანტიკოსობა არ

მწამს... მე მწამს მხოლოდ კაცი და ის რომ, მე მინდა გათხოვება,
ბაშასადამე თუ შენც გექნება სურვილი...

მე გითხარი:

— თეჯლე მე ვარ ეხლა ბედნიერი, ისე, როგორც, არავინ! მე
დიდი ხანი, ვოკნებობდი აი ამ წუთზე, ამ შენს თანხმობაზე და არ
ვიცი, რა სიტყვებით, რა ფერად საღებავებით გამოვხატო ეხლა ეს
ჩემი აღფრთოვანება. ამ სიტყვებთან ერთად მე კვლავ მოგხვიე
წელში ხელი და მიგიზიდე გულში ჩასაკრავად. შენ კი საბასუხოდ
ოდნავ, ვგონებ ცივადაც კი მკარი ხელი და მითხარი ასე:

— მე მოგეცი თანხმობა ცოლად გამოყოლისა და ეს კი საკმაოა
იმისთვის, რომ დავიცადოთ ჯვარის-წერამდის.

მეწყინა ცოტათი ეს შენი ისევ გაურჩება, ამ შენი სიტყვების
გაციება, მაგრამ მე მაინც სრულ-ქმნილ ბედნიერად ვრაცხდი თავს,
რადგან იმ ღამეს დამპირდი შენ მე ის, რასაც ვუცდიდი მთელი
ექვსი თვის განმავლობაში.

შემდეგ რა მოხდა?

ცაქა-თაძაში ისევ გრძელდებოდა და თავაშვერილი ორგიაც
მიღიოდა გაგიერდამდის... აქა-იქ მთერალი ხრინწიანი ხმით ისმოდა
იმ დროინდელი ქართული სიმღერები: „სიმონიკა გოცაძე“, „ჩემო
კარგო ქვეყანა“ და სხვა, რაც იმას მოწმობდა რომ ქართველს ამ
უცხოელებშიაც კი ღვინის დალევის შემდეგ არ დაევიწყა თავისი
მამაპაპური დარღიმანდობა და ლხინი... ამას უცემდნენ მაშინ
უცხოელები და ალბათ თვლიდენ მაშინ ყველა ამ ამბებს აზიურად
და თან ორიგინალურადაც.

მაგრამ ბლინძა ყვირილაძე კი ალბათ მაშინ კბილებს აკრაპუ-
ნებდა სიბრაზისაგან და სახეზე ზაფრა გადაკრული წყველიდა და
აგინებდა ამ ქართულ დარღიმანდობას და ზნე-ჩემულებას, რომლებ-
შიაც მისი და საქართველოს შესარცხვენად ყოველ მხრივ გამოსჭივი-
ოდა აზიურობა და ჩამორჩენილობა.

ამ დროს ჩვენს წინ გამოიქროლა ერთმანეთზე მჭიდროდ გა-
დაკლობილმა წყველმა.

იმათ ჩვენ ვერ შეგვნიშნეს და ჩაეშვენ რა იქვე გვერდით
მდგარ დივანზე დაიწყეს ჩურჩილი:

კაცი ამბობდა ფრანგულად:

— უმშევენიერესო ასულო უმშევენიერესო ქვევნისა, მაქვს პატი-
ვი გკოცნოთ თქვენ ლალის ბაგეში.

ქალი უპასუხებდა დამტვრული ფრანგულით:

— ხარ უცხოელი და მეც ბედნიერად ვრაცხ თავს...

კაცი ამბობდა:

— მე მსურს და უნდა იქნეს ეს, რომ შენთან ყოფნა და ამ მარჯვისფერ ბაგეთა კოცნა გავრძელდეს მთელ ჩემს სიცოცხლეში.
— ქალი უპასუხებდა.

— აბა ვის ძალუბს აღუდგეს წინ თქვენს ყოვლად ძლიერ სურვილს და ნატერას? — კაცი ეტყოდა: — მაშ, თქვენ გახდებით თანახმა გახდეთ ჩემი ცოლი და სიყვარული?! — ქალი უპასუხებდა: — თუ კი მიკიდრებთ მე ასულს დაჩაგრულ ერისას — მაშინ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა. — კაცი ამბობდა: — მაშ თქვენ წამოხვალთ ჩემთან საფრანგეთში?! — ქალი ამბობდა: — სრულქმნილ ნეტარებას მხოლოდ მაშინ ვიღრძნობდი. — კაცი ამბობდა — ძვირფასო ასულო ძვირფას საქართველოისა, მაშ, მოდი, მოდი... ჩამექარ მკერდში, დე, დავეწაფოთ თავდავიწყებას,..

...და როცა მხურვალე კოცნებს შეერთა ქალის ოდნავი აშოკენესანი და ხშირი სუნთქვანი, მე მოგხვევ შენ ხელი, რომ იმ უცხოელივით ჩამექარ მკერდში... მაგრამ შენ უცებ თითქოს ტკბილ ზღაპრიდან გამორკვეულმა მკარი ხელი გულზე და მითხარი ცვად:

— ანგარიში შეგშლია ყმაწვილო, უკაცრიად, — წამოდექ და დააპირე წასელა... ჩემთვის მოულოდნელი იყო ეს... შენ ხომ მე სულ რაღაც ოციოდე წუთის წინ ცოლად გამოყოლის შესახებ სიტყვას მაძლევდი?!! ამიტომ მეც დაბნეული და აზრის რიგიანად ვერ მომკრები. წამოვდექ ფეხზე, დაგეწიე და გითხარი ასე;

— თეკლე შენ მე ამ ნახევარი საათის წინ პირობას მაძლევდი — შენ სდუმდი, ხმას არ მცემდი. ამ დროს მე შეგნიშნე, რომ სადღაც ბნელ კუთხისკენ საიდან კიდევ ისმოდა ვნებით დამთვრალი... მოთენთილი ჩუმი ჩურჩული, იცქირებოდი შენ ფერ დაკარგული და ამღვრეული. შეგნიშნე მე ეს და მივხვდი, მივხვდი თუ რა იყო მიზეზი ეგრე უცები შენი გუნების შეცვლისა და არევისა. და მეც გითხარი მაშინ ასე გულ-მოკლულმა.

თეკლე, ხედავ ლამაზ ქართველ ცირებს თავ-ბრუ ეხვევათ უცხოელების ნახვით და უცხოელებიც შენც დაინახე ეხლა, როგორ ჯიჯ-გნიან მათ. თეკლე, ნუ თუ შენაც იმ ქართველ ასულივით ფიქრობ რომელიც ეხლა აი იქ კუთხეში ჩახვევია ვიღაც სისხლ-გამშრალ ფრანგს თუ სხეა ვინბეს და დაუკარგავს სალი გონიერება!?

— ეს შენი საქმე არაა — კიდევ მწვავი კილოთი მითხარი შენ და გამშორდი.

იმ ღამეს იალქნებ დამსხერეულ ნავიეთ დავხეტიალობდი ქუჩიდან-ქუჩაში და ვწყივლიდი ჩემს მზეს და ჩემს პატარა ქვეყანას რომელსაც თელავს და აჯირგალებს ყველა ძლიერი მსოფლიოს.

იმ ლამის შემდეგ გავიდა ათი დღე და მე არ მინახავხარ შენ და ერთხელ როცა დიდი მორიდებით ვკითხე ბლინდა ყვირილაძეს წენ შესახებ მან მიპასუხა ასე:

— გათხოვდა, დიახ, გათხოვდა, ინგლისელ პოლკოვნიქს გაყვა; სახელად მისტერ ბობს...—თან დაუმატა.—და მერე იცით ვისი წყალობით?.. ჩემი დახმარებით, დიახ, დიახ, ჩემი დახმარებით!

თავშარი დამეცა... კინალამ წავიქეცი... გამოვემშვიდობე მას და წამოველი. იმ დღის შემდეგ დავათრევ მე ამ მკვდარ გულს და ვფიქრობდი მასზე: თუ რათაა ცხოვრება უსამართლო, ან და კიდევ რათ დამდექს მუდამ შავი ბედი ფეხ და-ფეხ ყორნის ჩხავილით, თუ დემონის ხარხარით.

გაათავა გრძნობებ სათუთ მ თავისი მოგონება და ნალელიან ფართო თვალებით ჩააცერდა მის წინ მდგომ ლამაზ ბანოვანს... ბანოვანიც ჩაეფიქრებია იმ მოთხრობას. ის სღუმდა ეხლა და სშირად გულიდან სევდიან ოხვრასაც ამოუშევებდა ხოლმე. ბოლოს წარსულის მოგონებებიდან გამორკვეულმა სთქეა.

— რაები არ გამახსენე!.. რომ იცოდეთ ბ. მირიან ამ თქვენმა სიტყვებმა როგორ ამითორიქს გრძნობა... მაგრამ მოდი გაისიერნოთ აი იმ სკვერისკენ და რომ მე აწი მაინჯ თქვენს წინაშე ვიყვე სწორი და გულწრფელი მომისმინეთ ყველაფერი, მომისმინეთ ყურადღებით. — ამ სიტყვებთან ერთად ბანოვანმა გაუყარა გრძნობებ სათუთას მქლავებში ხელი და ეს უკანასკნელიც ისე აღელდა და დაიწვა მისი დაზვიწყარი სიყვარულის საგნის ხელის შეხებით, რომ დაივიწყა თავისი დიდი მოვალეობა დარაჯისა და ხმის ამოულებლივ გაყვა მას...

გაცილდენ რუსთაველის პროსპექტს და შეუხვიერ კომუნარების ბალში, სადაც ერთ ბნელ კუთხეში მდგარ ხის გრძელ სკამზე დასხდენ.

— ხომ გაგიგონიათ: უნახავმა რა ნახო, აიწია ში ჩახტაო: დაიწყო თექლემ—ასე დაგვემართა ჩვენს ზოგიერთ ქართველ ქალებს.

ბლინდა ყვირილაძის მოწოდებამ: გაპყვეით ინგლისელებს ცოლებათო, ააფორიაქა ჩემი სული და მეც ხშირად, სულ ხშირად ვიცნებოდი მასზე, რომ გავმხდარიყავი ცოლი, რომელილაც მისტერისა... მაგრამ პირეკლ ხანებში მე ამა: ვერ ვახერხებდი ე. ი. არ შემტექნა შემთხვევა, რომელიმე უცხოელის გაცნობისა; არა და ამავე დროს ვიცექროდით თქვენ, თუ როგორ იტანჯებოდით ჩემთვის. ამიტომ, რადგან გვაანდებოდა რომელიმე უცხოელთან საქმის დაჭრა და ამავე დროს კი მეც სულით და გულით მინდოდა საკუთარ ოჯახის შექმნა, ჩემმა გონებამ მიკარნახა საზღვარი დამედო თქვენს წა-

მებისათვის და გამოყოლოდით ცოლად. ამის შესახებ ის იყო გაგი-
ცხადეთ კიდეც, მაგრამ იმ საღამოს გახსოვს ჩვენ თვალისწინ უცხო-
ელი და ქართველი ცირი რომ კოცნიდენ ერთმანეთს, აი ამან გადა-
წყვიტა ჩვენი შემდეგი ბედი. მე იმ სურათის დანახვაზე გული ამი-
ლელდა, სისხლი ამინჯროლდა, და შემშურდა ბეღნიერება იმ ქარ-
თველ ქალისა, რომელსაც კოცნიდა და ეხვეოდა ყველასათვის ეგრე
სანუკვარი უცხოელი.

ახ, როგორ მომენატრა მეც მაშინ, რომ ჩემ ძვლებსაც და-
ეწყო ჭახვახი, რომელიმე უცხოელის რკალად შემოჭრობილ მძლავრ
მყლავებში რომ მივცემოდა წინიდა ქალურ თავდავიწყებას და აღ-
ტკინებას, ახ! როგორ მომენატრა ეს მაშინ მე...

გახსოვს შენ, რომ ხელი მომხვივი და მე გულზე ხელი გვარი.
რატომ მოგვექცი მაშინ ეგრე სასტიკად? მე ხომ უკვე სულ ათი წუ-
თის წინად დაგვირდი შენ ცოლად გამოყოლა?! მაშ, რატომ გეარი
ხელი?! იმიტომ, რომ პატარა, ჩია კაცად გამოჩნდი უცებ ჩემს თვა-
ლებში და იმასშიაც კი შემპარა ეჭვი, შეძლებდი თუ არა შენ იმ
ცხოველივით კაცობის გაწევის, გაგშორდი შენ და იმ საღამოს შემ-
დებ დავიწყებ შემთხვევის ძებნა, რომელიმე უცხოელის გასაცნობად.

ერთ საღამოს ბლინდა ყვირილაძისას მიველ სტუმრად. იქ დამ-
ხედა ერთი ინგლისელი ორმოც წელზე გადაცილებული პოლკოვნიკი.
პოლკოვნიკი პატარა ტანის კაცი იყო. სახე ახლად დაბადებულ ბავ-
შის სახესავით ქონდა აწითლებული და აფეროვნებული.

ლაპარაკის დროს (ლაპარაკობდა ფრანგულად) წინა კბილები-
დან უჩნდა მხოლოდ რამოდენიმე კბილი, ისინიც ჩაშავებული, დანარ-
ჩენი ეტყობოდა უკვე დიდიხნის ჩამტკრეული ქონდა.

ბლინდა ყვირილაძემ მომქიდა ხელი და წარმადგინა პოლკოვ-
ნიკის წინაშე:

— გთხოვთ გაიცნოთ, პოლკოვნიკი მისტერ ბობ!

პოლკოვნიკი ვირთხასავით წამოხტა და წაიწრიპინა:

— დიდი მოხარული ვარ, დიდათ მოხარული. — თან თავისი ბა-
ყაყივით დაკუსულ ლიფსიტა თვალებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა.
ზე ვიდექი მის წინაშე, როგორც ჯეირანი. ვკრძნობდი კმაყოფილე-
ბას, თან მედიდურობას, რომ ის პატარა კაცუნია, მიუხედავთ მისი
გვარტომობისა და თანამდებობისა ჩემთან შედარებით ჩანდა რაღაც
ჩიად და დამცირებულად... ამას, ისიც ერთოდა რომ ბლინდა ყვირი-
ლაძემ მას გააცნო ჩემი თავი, როგორც მეტად წარჩინებულ ქართველ
თავად გენერლის ასული. პოლკოვნიკმა პრანქეა-გრეხით მომაწოდა
სკამი და როცა მე დავჯექი, ისიც დაჯდა ჩემს პირდაპირ.

ჩამოვარდა სიჩუმე, და რომ ამ სიჩუმის უხერხულება დარღვეულიყოთ — ბლინძა ყველილაძემ დაიწყო თავისებურად:

— აი, მისტერ ბობ! თქვენ ხომ მთხოვდით გამეცნო თქვენთვის ქართველი ლამაზი ასული, აი, ხომ გავაცანით ეხლა... .

— ხე, ხე — გმადლობთ, გმადლობთ — ჩიხითხითა ყალიონის პირიდან გამოღებით პოლკოვნიკმა და კიდევ მომაკუსა თავისი წვრილი ლიფსიტა თვალები. ეტყობოდა ჩემს სილამაზეს თუ მოხდენილობას უკეთ აეფორიაქებია მისი გონება.

რისთვის მაწითლებთ ბატონო ბლინძა?!! — ვსთქვი მე მორცხვათ და პოლკოვნიკს შევაცემერდი.

ბლინძა ყვირილაძე უმტკიცებდა პოლკოვნიკს რომ ქართველი ქალი ყველა ერის ქალზე ლამაზი და სათნოიანია დედიმიწის ზურგზეო.

პოლკოვნიკი მედიდურად აბოლებდა ყალიონს და პირზე ულაზათო ლიმილით ეთანხმებოდა ბლინძა ლვირილაძეს, თან კი მსუნაგათ ჩემსკენ იცქირებოდა... თავის ლიძისიტა თავხედ თვალებით კირკნიდა ჩემს გაშიშვლებულ მელავებს, გულმკერდს, პირისახეს.

ლაპარაკში გავიგე, რომ პოლკოვნიკი უცოლო იყო და დიდი მოხარული იქნებოდა, თუ ქართველ ქალს შეირთავდა ცოლათ.

— დამერწმუნეთ თქვენ არც ერთი ერის შვილი არ იტყვის უარს იმ შვენიერ ერის ასულთა შერთვაზე, რომლებიც მთელი საუკუნოების განმავლობაში ახალისებდა და აახალგაზრდავებდა სისხლს და მოდგმას შეა აზიის ხალხებისას და კიდევ სხვებისასაც.

— სთქვა პოლკოვნიკმა და შევატკვე ცბიერად გამიცინა, თან ჩემსკენ სკამის წამოჩინებით დაუმატა:

— ჰა, განა ეგრე არ არის მაღემუაზელ, თეკლე?!! — მე ჩემი სკამით ცოტათი უკან დავიწყი და პირისახე მთლად აქარხალებულმა ძლივსძლივობით მოვახერხე შემდეგის თქმა:

— ვერაფერს ვიტყვი მისტერ ბობ, თქვენ ალბათ ხუმრობთ. — ვსთქვი ეს და ვამჩნევდი, რომ ჩემში, ჩემს შიგნით რაღაც ბრძოლა ხდებოდა; რაღაც ახალი ფიქრები იქრიბებოდნენ, იბრძოდნენ და იბადებოდნენ ახალი აზრები. აზრები კი ხან გადადიოდენ გრძნობებში, ხან კი უბრალო მშრალ ანგარიშში.

და იმ საღამოს, როცა სახლში წასელისას პოლკოვნიკმა გამაცილა, მე ის არ მეჩენებოდა, ისეთ ჩიათ და ულირსათ, როგორც პირველ გაცნობისას.

შემდევ გავიდა რამდენიმე დღე...

მე და პოლკოვნიკი ხშირად უხვდებოდით ერთმანეთს ბლინძა

ყვირილაძისას, არ ვიცი რა მემართებოდა, მაგრამ ეს კი იყო, რომ საესებით მოვეჯადოვებიე იმ პიროვნებას, რომლის მიმართ პირეელ ხანებში ერთგვარ პირდაპირ ფიზიოლოგიურ სიძულვილსაც კი ვგრძნობდი. და როცა ერთ საღამოს ბლინძა ყვირილაძემ პირდაპირ ჩამომიგდო მასზე ლაპარაკი და მითხრა:

— პოლკოვნიკი გამანდო, რომ ის დიდი მოხარული იქნებოდა, რომ მას გაყობოდეთ ცოლადო. — მე სიხარულისაგან თავტრუდასხმულმა, მდუშარე ლიმილით და დაბლა თავის ჩალუნვით მივეცი თანხმობა.

და როცა ორიოდე დღის შემდეგ მე და პოლკოვნიკი პირველად მოვხედით ერთად დაკეტილ ოთახში, მე მოვრალი ვიყავ რაღაც უცხო ბედნიერებით და სანთელივით ვიღვენთებოდი პოლკოვნიკის ალერსზი, თუ ხვევნა-კოცნაში.

კიდევ ვიმეორებ: რითი უნდა აიხსნას მოხელი ჩემი გრძნობა და კონების ეგრე რადიკალური შეცვლა იმ პოლკოვნიკის მიმართი! ალბათ, იმით რომ მე შვილს პატარა და დაზეჩავებულ საქართველო-ისას, თვალებს მჭრიდა და გონებას მტაცებდა წარმომადგენელი მსოფლიოში უმდიდრეს და უძლიერეს ერისა.

აი, სწორედ მეც ამიტომ იყო, რომ მიუტანე მსხვერპლად ჩემი სიქალწულე და უმწიკვლოება იმ ბებერ პოლკოვნიკს, რომელსაც ქონდა წვრილი დაკუსული თვალები, ზავი, ჩამტვრეული კბილები და ახლად დაბადებულ ბავშვით აწითლებული და აფერვანებული სახე.

გადიოდა დღები, კვირეები, თვეები.

პოლკოვნიკი წურბელისავით დაეწაუა ჩემს ვნებებს და ჩემი დედაკაცობაც სავსებით დაიპყრო და დაიოკა მან. მე არ ვხედავდი არავის ირგვლივ მის გარდა, ჩემს გარდა და იგრეთვე კიდევ ბლინძა ყვირილაძის გარდა, რომელიც ქმაყოფილი იყო იმით, რომ მე გავხდი ცოლი ინგლისელისა და ამნაირად გაეძებდნიერე საქართველო.

რამდენიმე წნის შემდეგ პოლკოვნიკი სამსახურის საქმეების გამო ბათომში გადაიყვანეს და ჩვენც იქ მოვეწყვეთ საცხოვრებლად.

გადიოდა თვეები... ვხედავდი პოლკოვნიკი თანდათანობით უქლებდა ჩემს მიმართ ალერსს და ცივდებოდა. ხშირად მთელი საღამოებით მარტო ვიყავ სახლში... პოლკოვნიკი კი ვითომ რაღაც საქმეების მომიზეზების გამო ყავახანა მოუკრძალდა, მართს. მე იმაში დავრწმუნდი იმის შემდეგ, რო კართხელ დაეკვებულია პოლკოვნიკის სიმართლეში, რომ სამსახურის საქმეების გამო მიდის, თვით წაველ გამეგო სად ატარებდა ვაკეტონში დროს. 0 0 0

ტანისამოს გამოცვლილი, პირ-ბადე აფარებული მე შეუმჩნევ-
ლად მივედი იმ ხანებში ბათომში ყველაზე უფრო ცნობილ წმიდა
ამერიკულ ყაიდაზე მოწყობილ ბარში: „ბახუსში“.

დაენიახე პოლკოვნიკი და მასთან ერთად სხვა ინგლისელი
ოფიცირები, ახალგაზრდა ლამაზ ცირებთან მსხდომნი. იყო ოხუნჯო-
ბა, არშიკობა და კისკისი.

პოლკოვნიკს მეტად მოხერხებულად განემარტოებია ერთი
ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილი კუთხეში, რომელსაც სხვა და სხვა
სასმელების გამო ხახე აქარხლებოდა და აღრეოდა. მივხდი კარგად,
რომ პოლკოვნიკი, როგორც მე ოდესლაც, ისე ეხლა იმასაც აბრუ-
ებდა თავისი სიტყვათა ჰაშიშით. ვაჟბატონი იქცეოდა ისე, რო-
გორც იქცევა საერთოდ ყველა გამარჯვებული ბრძოლაში დამარც-
ხებულ და დაპყრობილ ერის მიმართ. წარმომიდგა თვალშინ მთელი
ჩვენი სისაწყლე, სიბერიავე და უბედურება. მე შემეზიზლა ჩემი თავი
ასეთ დამცირებაში შყოფი. შემცეოდა საქართველო გათავსედებულ
ინგლისელთა ჩემებით ფეხ-ჭვეშ უშალოდ გათელილი და გაჯიჯვ-
ნილი. ეხლა ნათლიდ და საესებით ვიგრძენი მთელი ის ტევილები
და შეურაცხყოფა, რაც გადიდებულმა ინგლისის მხედრებმა მი-
აყენეს საქართველოს და მის თავმოყვარეობას, როცა ყოფილ არა-
მიანცის სახლიდან რუსთაველის პროსპექტზე ყველის დასანახათ,
გადმოკიდეს ქვედა და ზედა საცვლები.

მე შემეზიზლა ბლინძა ყვირილადე, რომელიც ეგრეთი სულე-
ლურ და აბსურდულ იდეებს ნერგავდა ხალხში საქართველოს გაევ-
რობილებისათვის და აგრეთვე კიდევ იმისათვის, რომ მისი წყალო-
ბით ზოგიერთ ქართველ ახალგაზრდა ასულს, საესეს ათას იმედე-
ბით და ოცნებებით, თავბრუ ეხვევოდა და ილუპებოდა.

ილუპებოდა, რადგან მე თვით ჩემი მაგალითიდან ვიცი, რომ ის
ქართველი ქალები, რომლებიც კი გაეცვნენ ინგლისელებს, ბოლოს
როგორც ჩვრები ისე იქნენ გადმოყრილნი.

იმ სალამოს შემდეგ, როცა ჩემი თვალით დავრწმუნდი, რომ
ჩემს პოლკოვნიკს ჩემს გარდა კიდევ სხვა ყაედა, მე ხშირად აუტეხ-
დი ხოლმე მას ჩხუბს და უნდა გეყურებიათ, როგორი საშინელი და
საზიზლარი შესახედავი იყო ის ამ დროს: პირს დამანჭავდა, ლიფსი-
ტა თვალებს დაყუსავდა და ფინისავით დამიწყებდა ყურებას ქვე-
ვიდან ზევით, თან რაღაც ბოროტად და თავხედურად ილრიჭებოდა,
რომელშიაც აშკარად გამოსჭვივოდა ის, რომ ის აინუნშიაც კი არ
აგდებდა ჩემს გაბრაზებას, ან და კიდევ ჩხუბს და გინებას.

ერთ დღეს ფოსტალიონმა წერილი მოიტანა.

პოლკოვნიკი არ იყო სახლში. მე დავინტერესდი ბარათის შინაარსით და რაღაც ის ინგლისურ ენაზე იყო დაწერილი, დაუძხება „დენშჩიქს“ და ათასგვარ საჩქრების და სისყიდელის გაღების შემდეგ, დავიყოლიე წაეკითხა ბარათი და გადმოეცა მისი შინაარსი ჩემთვის. ბარათი ინგლისიდან იყო. იწერებოდა ცოლი... წერდა სხვადასხვა რამებზე და ბოლოს დასტენდა, რომ უფროსი ვაჟი ჯემსი უკვე სკოლაში გავაგზავნეთ.—თავზარი დამცა ამ ბარათმა..., მე პოლკოვნიკი მეგონა უცოლო, როგორადაც გამაცნო ის პირველად ბლინძა ყვირილადებმ, აქ კი .. ცოლი, შეილები, ჯემსი... ეხ, წარმომიდგა თვალშინ მთელი ჩემი ანცურობებიანი და უზრუნველი ქალი შეილობა. მომაგონნდი შენაც, რომელიც ერე შესაბრალისი იყავი ყოველთვის, როცა სიყვარულზე ჩამომიჯდებდი ხოლმე ლაპარაკს, მომაგონდა გაფრენილი დღეები... მომაგონდა ყველაფერი ეს და მასთან ერთად ამეტება გვერდით დამსხვერეული სიცოცხლე და გაუბედურებული ქალი შეილობა და დავიწყე ტირილი. ვტიროდი დიდხანს. დენშჩიკი, მიმხვდარი ყველაფერს, თანაგრძნობით მიცეროდა... ვებრალებოდი... იმის შემდეგ დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი ერთად ცხოვრება.

სულ რამოდენიმე კვირაში ინგლისის ჯარები აიბარგნენ საქართველოდან და პოლკოვნიკიც მათ გაყავა.

ცივად გამომეშვიდობა... თან დაქუშულ თვალებით იცინოდა... დამცინოდა... ამბობდა:

— რა უყოთ მერე, რომ ჩვენი ცოლ-ქმრობა ვერ იქნა იღბლიანი, რა უყოთ მერე... განა ვინც თხოვდება, ან თხოვულობს ყველა გამოუქლებლივ ბედნიერია ან ქაყოფილია თავისი ბედით?!— ასე მანუგეშა და წავიდა, თან თვალებს მაკუსებდა. თან ჩუმად ბოროტათ ხითხითებდა... რაზე თუ ვისზე, ეს ყველასთვის ნათელი იყო.

და როცა უკანასკნელი გემი, გავსებული ინგლისის მხედრობით დაიძრა ნაეთსადგორიდან, მე მეგონს, რომ იმ გეძს შესტიროდა ჩემი გათელილი სიქალწულე, ფეხქეცე უხეშად გაჯიჯვნილი თავმოყვარეობა ქართველ ერისა და ბლინძა ყვირილადის იდეათა სისულელე და აბსულობა...

— დაათავა თეკლემ თავისი მოთხოვობა. თან, თითქოს გული ზედ ამოატანაო, ლრმად ამოიოხრა და თავის ფართო სევდიან თვალებით დაიწყო შორს ლამის სივრცეში ცქერა.

ლაშე კი თრთოდა, იშმიშნებოდა და პროსპექტზე მოსეირნე ქალ-ვაგნიც კიდევ უფრო მეტი სიხალისით განაგრძობდენ კისკის და აშიქობას.

(დასასრული მეორე გარის).

სანდრო ეული

სანდრო ეული „პირველი თაობის“ პროლეტარული პოეტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია.

მან მუშათა კლასის ცხოვრების და მისწრაფებების მხატვრულ გამოხატვას შეუდგა ჯერ კიდევ დიდი ხნით აღრე, ოქტომბრის რევოლუციამდე. ასე, რომ ის უნდა ჩავთვალოდ პროლეტარული პოეზიის პიონერად საქართველოში.

სანდრო ეულმა თავის შემოქმედებითი განვითარებაში რამოდენიმე პერიოდი განვლო.

ს. ეულის პიონიის დამახასიათებელი შინაარსი მისი შემოქმედების პირველ პერიოდში, იმ პერიოდში, როდესაც ის პირველად იწყებდა მონაწილეობას საზოგადოებრივ მოძრაობაში — შემდეგ გვარი იყო: აქ, ჩასაკვირველია გარკვევით არ მოსჩანს პროლეტარულ-კლასიური მომენტი, არა მარტო ფორმით, არამედ შინაარსითაც. აქ უფრო მეტია ის რომანტიკული გატაცება, რომელიც რევოლუციონური მოძრაობის აღმაფლობის დროს იპყრობს საზოგადოების ყველა პროგრესიულ ელემენტებს. ყველა ოცნებობს ძმობაზე, ბედნიერებაზე, თავისუფლებაზე, მაგრამ ყველასვე თავისებურად აქვთ დასახული გზა ამ მიზნის მისაღწევად. ს. ეულში მაშინ ბატონობდა აბსტრაქციული რომანტიკა, იდეალიზაცია „მზის ასულის“, რომელსაც თითქოს უბრძოლველად შეეძლო ბედნიერების მოტანა დაჩაგრული კლასისათვის — პროლეტარიატისათვის. ამ ხანგბში ს. ეულის პოეტური სწრაფვანი ასეთ რომანტიკაზე შორს ვერ მიღიოდა...

ამ დროის მისი შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი ლექსია: „მზის ასული“. ამ ლექსში პოეტი ლაპარაკობს რაღაც გაურკვეველ ძმობასა და სიყვარულზე, რომელიც ქვეყნად მოაქვს „მზის ასულს“.

ჩამოდეჭით, გზა მიეცით, მოდის მზის ასული,
მოდის და თან ხელს უპყრია სხივთა თაიგული,
მისი ეშით ია ჰყვავის, გარდი იფურჩენება,
გვალს დამბლა დასკვრია, ბარდი შიშით კუნება.

ჩამოდექით, გზა მიეცით, მოდის მზის ასული,
მოდის და თან ქვეყნად მოაქეს ძმობა, სიყვარული,
ლამე ბრელი მთის ვიწროში საფლავს ითხრის, კედება.
დედამიწა თეორ კაბაში ირთვებ-იკაზმება,,
ჩამოდექით, გზა მიეცით, მოდის მზის ასული,
მოდის და თან ქვეყნად მოაქეს ძმობა, სიყვარული.

როგორც თვით მეითხველიც შეამჩნევდა ეს სტრიქონები ძლიერ დაშორებულია თანამედროვე პროლეტარული პოეზიის კლასიური თვალსაზრისისაგან. მუშათა კლასის მიერ თავისუფლების მოპოვების ასეთი „ქალწულისებური“ წარმოდგენა, რასაკვირველია სინამდვილის დიალექტიურ განვითარებას ეწინააღმდეგება. თავისუფლების, ძმობის და პროლეტარიატის დიქტატურის მოსაპოებლად მუშათა კლასს მეტად ხანგრძლივი მძიმე ომების წარმოება მოუხდა, მეტად მრავალი მსხვერპლის გაღება დასჭირდა.

შემდეგ პერიოდში სანდრო ეულის წინანდელი მოტივები იღვილს უთმობს სხვა მოტივებს, უფრო ციცქლიანს, მებრძოლს და კლასიურს. ამ პერიოდში პოეტი მტკიცედ დგება პროლეტარიატის კლასიურ პოზიციაზე. ის უმღერის პროლეტარიატის ბრძოლას, შრომის და წინსვლას. პოეტი პროლეტარიატის კლასიურ-კოლექტიური განწყობილებებით იმსცევალება.

ამ პერიოდში ს. ეული საქმიანდ კარგ ლექსს „ბრძოლის მეოსან“-ში საზღვრავს პროლეტარული პოეტის ამოცანებს. მისი წარმოდგენით პროლეტარული პოეტის დანიშნულებაა პროლეტარიატიან ერთად დგომა თავის კლასიურ მტრებთან საწინააღმდეგო ბრძოლა-ში; პროლეტარულმა პოეტმა ბარიკადებზე უნდა შეთხზას სიმღერები ბრძოლის პანგზე, ის ჯანსაღი ხელვით და მისწრაფებით უნდა იყოს გამსჭვალული:

ბრძოლის ველიდან არ სწევეთ მას დაშორება,
ბარიკადებში თხბაფს სიმღერებს ბრძოლის ჰანგებზე,
მის ჩანგის სიმებს, სევდას აქსოვს ტანჯულთ გოდება
და მაინც უკრთის საიმედო ღიმი ბაგეზე...
აყირავებულ ძველ სამყაროს ასევდიანებს
ისმის ბრძოლის ბმით ცეცხლის ჩანგის სიმღერის ქლერა,
გაკაუებული სულით იკრებს ცეცხლის თმიანებს
„ჩევნ გამომარჯვებთ“, ამბობს იგი და ჩევნც ეს გვჯერა

პროლეტარული პოეტი არის ინდუსტრიალური მუშათა კლასის წარმომადგენელი; პროლეტარული პოეტი თავის სიმფონიას ქარ-

ხნის ხმაურში უნდა თხზულეს. ამას გარევევით გრძნობს ს. ეულიც.
ერთ-ერთ ლექსში ის შემდეგს ამბობს:

ქარხნის ხმაურში კონფიდენციას,
ხმის პიართი, ხან აფორტებით,
მსოფლიო ისმენს ჩვემნიას,
ცეცხლის ალების ფერმატოებით.

(„ქარხნის სულები“)

შემდეგ ს. ეული მთელ რიგ მხატვრულ ფაქტებში ეხება ქარხა-
ნა-ფაბრიკებს, ინდუსტრიალურ საწყისებს. ასეთია მაგალითად:
„ქარხნის ჰანგები“, „სამჭედლოში“, „მჭედლის სიმღერა“, „ქარხნის
„კონცერტი“ და სხვ.

ქარხანა, ფაბრიკა, როგორც პროლეტარიატის საერთო, კო-
ლექტიურ შრომის საწყისი, როგორც მის განცდათა და მისწრაფე-
ბათა ტონის მიმცემი—ერთ-ერთი უმთავრესი თემათაგანია ს. ეული-
სათვის.

პროლეტარულ პოეტს ქარხნის ორგანიზაციულ-შემოქმედებითი
და რევოლუციონური როლი კარგათ იქნება შეგნებული. სწორედ
ქარხნის ატმოსფერაში იბრძმედება და იქნედება პროლეტარიატის
ნება, მისი კლასიური შემეცნება:

და რომ მანქანების ხმაურს შევეთვისეთ
ჩარხების ტრიალში სულებს ვიკავებდით,
ჩვენ არივ ქარხანას კველა შევეუიცხო,
რომ ჩვენ მსოფლიოს ბერს აძვე გამოვმედდით.

(„ქარხნის ჰანგები“)

მოხდა ოქტომბრის დიდი რევოლუცია. პროლეტარიატის მიერ
წარმოებული მრავალი წლების ბრძოლები გამარჯვებით დამთავრდა;
მუშათა კლასმა აიღო ხელში ძალა-უფლება. პოეტი-ავიტორი
ს. ეული აღფრთოვანებული ესალმება ამ რევოლუციას, მოუწოდებს
კველას მისი დაცვისაკენ და აღმშენებლობისაკენ. მაგრამ მშრომელ-
თა სამეფოს მტერი მახეს უგებდა, მტრის ბანაქში ისმოდა: „წით-
ლებს არ გაუთენდა“, ცოფიანი ნადირი ჩვენ ქვეყანას ულრენდა, არ
ზოგავდა მისთვის შხამს და ცხელ ტუვიებს უშენდა“, მუშათა კლასი
და გლეხობა შეერთებული ძალით შეხვდა მოზღვავებულ მტერს:

იყო გადაბახეა: „მტერი იარაღდება,
მტერს კვლავ სისხლი სწყურია—ჩვენი ისისხლით არ ძღვება...
მუშებო და გლეხებო კვლით თქვენგან მზადებას
და მტრებისა ბანაკის ცეცხლით გადანათებას!“

და ძაბილზე პასუხი იყო მიღლიონების:

— ჩეკი დაგიცავთ ოქტომბერს — მუშები და გლეხები
ვდგევართ სადარაჯოზ! მტერი არ გაფახარებს,
საწამ ჩეკი მახვილი მას არ დაასამარებს.

(„ოქტომბრის დღეებში“).

რასაკეირველია, ამ მოწოდებას დღესაც აქვს თავისი ძალა.
დღესაც საქიროების დროს მუშები და გლეხები დაიცავენ ოქტომ-
ბრის მონაპოვარს...

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე ეულმა გამოსცა
წიგნი: „ათი წელი“. მასში თავმოყრილია ყველაფერი ის, რაც მან
დასწერა ოქტომბრის შესახებ. აქ არის ერთი პოემა და რამოდენი-
მე ლექსი. ყურადღებას იქცევს პოემა „ათი წელი“. მასში პოეტი
მხატვრულად გვაგონებს ოქტომბრის რევოლუციის მიერ ათი წლის
განმავლობაში განვლილ ცალკე ეპიზოდებს.

საქართველოში ოქტომბრის რევოლუციიამ რამდენიმე წლით
დაიგვიანა. მაგრამ ბოლოს „კავკასიონის მწვერვალიდან მზემ გაგვი-
ცინა“ და მოხდა საქართველოს გასაბჭოებაც:

კავკასიონის მწვერვალიდან მზემ გაგვიცინა
და საქართველოს გაელვიძა და გაეხარდა,
შერმოს უბანმა ნიღაბიანთ ვერ მოუთმინა
და ჩამოგლიჯა შავი ფარდა, მზეს რომ ფარავდა.
ჩრდილოეთიდან ოქტომბრი დიდხანს გვიმსერდა
და თორმეტ თვეში არჩევან ერგო თებერვალს,
რომ წითელ დროშით, ხელში თოფით აოქტომბრდა
და ხელი მისცა ტფილისიდან მოსკოვს, ლენინგრადს.

(„ათი წელი“).

სხვა ლექსებიდან აღსანიშნავია „ლენინი აკლდამაში“. ამ ლექს-
ში ს. ეული გვესაუბრება იმ განცდათა შესახებ, რომელსაც ქმნის
ყოველ ადამიანში ბელადის საფლავის ნახვა.

კარგი ლექსია „მამა-დელეგატი“. საბჭოთა წესუყობილებამ სა-
ზოგადოებრივ ასპარეზე სოფლიდ სამუშაოდ კამოიყვანა ახალი რე-
ვოლუციონური ძალები. ამ რევოლუციონური ძალის ერთ-ერთი წარ-
მომადგენელი — პოეტის მამა არის გამოყვანილი ამ ლექსში მთავარ
გმირად. პოეტის 60 წლის მამა ჩიმოვიდა ტფილისში ყრილობაზე
დელეგატათ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ს. ეულის შემოქმედების ზოგი-
ერთი ნაკლიც.

მისი თემები მეტად ერთფეროვანი და განსაზღვრულია. თემების ის მრავალფეროვანება და მრავალნაირობა, რომელიც წამოაყენა ჩვენმა სინამდვილემ ს. ეულის მხატვრული ხედების გარეშე რჩება.

აგრეთვე, ყოფა-ცხოვრების, კონკრეტობის ასახვის ლოზუნგი, რომელიც დღეს მორიგ გადაუდებელ ამოცანათ სდგას პროლეტარული ლიტერატურის წინაშე ს. ეულისათვის ჯერ მიუღწეველი ამბავია. ის ეხლაც განაგრძობს სამხედრო კომუნიზმის დროინდელ აბსტრაქციულ-კოსმიურ თემების აღებას და მათი ამავე (ე. ი. კოსმიურ-აბსტრაქციული) გზით განვითარებას. ეს მოვლენა თუ ს. ეულმა დროშე არ გაითვალისწინა, მაშინ შესაძლებელია ის ლრმა კრიზისის წინაშე დადგეს, ისე, როგორც ეს დაემართა რუსეთში მრავალ პროლეტარულ პოეტს (მაგ. ფილიპჩენკოს, სადოფიევს, გასტრევს და სხვ.)...

ს. ეულის პოეზია, მიუხედავათ თანამედროვეობის და რევოლუციონერობისა იმყოფება სიმბოლიზმის ძლიერი გავლენის ქვეშ. ამ მოვლენაშე მიუთითებს თვით ლექსების სათაურებიც: „ოცნება“, „ცეცხლის ქარია“, „მზის ასული“, „ორიონი“ და სხვ.

სახეების და მეტაფორების ხმარებაშიაც ს. ეული ძლიერ უახლოვდება სიმბოლისტებს. მაგალითად, პოეტს სურს გვიამბოს, რომ იქ, სადაც ასაფლავია ჩვენი დიდი ბერადი — ლენინი — პროლეტარიატისათვის ძლიერ საპატიოცემულო ადგილია. მაგრამ მან ყოველივე ეს აუცილებლად რელიგიურ-სიმბოლისტური სიტყვებით და სახეებით უნდა მოგვცეს: „აკლდამა ლენინის წმინდა სამლოცველო, სავანე ბელადის“ და სხვ.

რასაკვირველია, ლენინის მავჭოლეის ამ სახით „დახასიათება“ პირდაპირ მიუღებელია და არცაა სწორი.

აგრეთვე, ს. ეულის ლექსები სავსეა რელიგიური სიტყვებით მარტო ერთი ლექსი „ალდგომა ოქტომბრით“; რომ ავილოთ მასში შემდეგ სიტყვებს შეხედებით: „პონტოელის“ (2-ჯერ), „გესონიმან“, „კაიაფ“, „გოლგოთის“ (2-ჯერ), „სინედროიონს“ (2-ჯერ), „ჯვარს“, „ალდგომა“, „იუდამ“, „ურიასტან“ და სხვ. ასეთი სიტყვებით უნდა გვაგრძნობინოს პოეტმა ოქტომბრის რევოლუცია!..

სხვა ლექსებში ს. ეულს ხშირად აქვს ნახმარი: „გწმდეთ ლმერთად“, „ლოცვა ჩვენი სივრცეს ბზარავს“, „მიზანი ჩვენი ვისახეთ ლმერთად“, „ერთად მივადგეთ სამოთხის კარებს, „კოშქს ვაშენებთ, კოშქს ტაძრიანს“ და სხვ. რასაკვირველია, ასეთი სიტყვების ხმარებით ს. ეულის ლექსები ხშირად თავიანთ მხატვრულ ლირებულებას კარგავს, რასაკვირველია, თანამედროვეობის თვალსაზრისით...

ამასთანავე უნდა იღინიშნოს, რომ ს. ეულის ლექსიკონი მეტად ერთფეროვანია და „დაძველებულია“. ის სიტყვები, რომელიც შექმნა ჩვენმა რევოლიუციონურ-ინდუსტრიალურმა ეპოქამ ს. ეულს ყურადღების გარეშე აქვს დატოვებული.

ს. ეულის ლექსიკი ფორმის მხრივ ხშირად მეტად „გაუთლელია“, ისინი ფორმის მხრივ უმეტეს შემთხვევაში დემოკრატიული პოეტების სრული გამეორებაა. ეს კი უსათუოდ დიდი ნაკლია პოეტისათვის. ამაზე ს. ეულს სერიოზული დაფიქრება და მუშაობა მართებს. ლექსისთვის არ კმიარა მარტო შიშველი აზრები და შინაარსი. ახალ შინაარს შესაფერისი ფორმა ესაჭიროება...

პერი სამსონიძე

ერთი საუბრის გამო

და გეკითხები შენ,
ამხანავო,
თუ კვლავ ბრძოლებით
გიძგერს დღეს გული,
რატომ არ გინდა,
რომ დაინახო
აღმშენებლობის
ქვა და აგური?!

რატომ არ გინდა,
რომ შენც გაიგო,
რომ კვლავ სულ უკან
კი ალარ ვიხევთ,
არამედ გვინდა,
რომ ის ავაგოთ,
რაც ერთხელ მიზნად
ჩვენ დავისახეთ.

მართალი არის
დიდი ამაგი

მიგიძლვის წარსულ
 ბრძოლებში, ოდეს
 შენ ბოლშევიკი
 და ამხანაგი
 ებრძოდი მარად
 მტერთა ურდოებს,

 მაგრამ მიოხარი,
 განა შევფერის
 შენ დღეს ფარხმალის
 დაყრა იმის წინ,
 როცა ყოველგვარ
 ძალის შეკრებით
 სიძნელეებთან
 ვიბრძვით და ვიწვით?!!

გიორგი ქათახიძე

ჩემი ბინა

ვისაც უნახავს ჩემი ოთახი,
 იმათვან ბეკრი მაძლევს შენიშვნას:—
 „ამგვარად ქედი რად მოიხარე,
 რომ კვლავ დაფლეთილ სახლში შედიხარ.
 ნუ თუ ეს გინდა ხვედრად გახადო...
 შენ მაინც რა გაქვს ამის საბაბი?
 იქნებ ყველაფერს განზრახ ჩაღიხარ,
 რომ ლექსტში ნახო განცდის საგანი.
 თორემ ასე გულს სხვა ვინ აღელვებს!
 ან რას გარგია ეს გაწამება;
 ზამთრობით შეშის ყიდვა გაღონებს
 და ზაფხულობით მტერის დაწოლა.“—
 მე კი მაცინებს მათი იქვები,
 და ვამბობ: — ლექსი რა სათქმელია...
 თუ ადამიანს თვალი გაუჭრის

ამ დროში გრძნობა საღი ექნება.

არც მეგულება კაცი ჩერჩეტი
ბინად ისურვოს ძველი გომურა...
მე თუ ამნაირ ხეედრზე შევჩერდი
ტფილიში ჩემებრ ბეჭრი მოსულა.

ზოგიერთივით სიკვდილს არ ველი,
რომ მივიჩნიო მიწა ქალამნაც...
ვხედავ მუშაობს რიგზე სამშენი
და შენობებით დგება ქალაქი.

შრომის ოჯახიც მრავლად გაჩალდა,,
მოძმენი კიდევ იმედს უცდიან...
ეხლა ამათგან რით გამოვირჩე,
თუ ამათ ჯერი უფრო ცუდი აქვთ?..
გარე უბნებში ვაგებთ შენობებს,
საღაც ელდენით შუქი ენთება...
მომიწევს რიგი და სამშენიდან
მეც სხვებთან ერთად ბინა მექნება.

ს. ჯავშანიძე

პირველი ტრაქტორი

თავი პირველი

რამდენი უნდა ირბინოს იმ ცხენმა, რომ გადიაროს თაყის ყანებზე! — ფიქრობდა ცხენოსანი ებრაელი, ვაჭარი.

მოხდილი ქუდი ხელში ეჭირა და კისერმოლრეცილი გასცეროდა გაქენებულ ცხენის ქუდის თამაშს.

ცხენოსანი ტიალ-მინდორზე ბურთის ოდენათ იქცა, სიმდიდრის აცნებაში მცურავ ებრაელმა შოქანცულ ცხენს, ხმელ გვერდებში ფეხებით ცემა დაფრიც და გზა განაგრძო.

აჰა! მიუახლოედა ბებერ მუხას თაყა, საღაც ესო ხაესიანი ქვა, რომელიც აღნიშნავდა საზღვარს მიწის მფლობელთა შორის.

თაყას დაიხვახე ჩრდილში მჯდარი გლეხები ფეხზე წამოდგენ და ქუდები მოიხადეს.

თაყამ დააყენა გაორთქლილი ცხენი, ქოლგა დახურა და ჩა-
მოხტა.

აღვირი, შემოგებებულ გლეხს გადასცა, ჭრელი ძვლებით ას-
მული, მათრახი ჩექმის კულში გაირკო და ჩრდილს მიაშურა.

— რა გინდათ თქვენ? — გაისმა თაყას ხმა და ფრიად ხელსა-
ხოცით მელოტ თავზე ოფლი მოიწმინდა.

— რას მოითხოვთ? — მცირე ხნის შემდეგ მეორეთ შეეკითხა
დაწუნჯებულ გლეხებს.

ფეხი დაგვარჯლულ ფესვზე შეაბიჯა და ჭილოფის ჭუდში ამო-
უსვა ხელსახოცი.

გლეხები დუმილით ამოძრავდენ, ზაფხულის ნიავის სისინივით
მწვანე ყანაში და ჯავრიანი სახეები ერთმანეთს შეეჯახენ.

— ჩვენა — ბატონო თაყა! — დაიწყო მოხუცმა გლეხმა და ორი
მოკლე ნაბიჯი წინ წამოდგა.

„როგორც მოგეხსენებათ, წელს საქონლის ჭირმა დაგვრია ხე-
ლი და გაგვანადგურა! განმეორებით გთხოვთ გაუწიოთ ანგარიში
ჩეენს გალატაცებულ ოჯახებს!, შეიბრალოთ ჩეენი წვრილი შვილები,
და შეგვაწიეთ წელს ლალა! რომ არ დავრჩეთ ცის ჭვეშ მშიერ-ში-
შველი!.. დაათავა მოხუცმა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია,

მისი კანი გაფიცხებულიყო, როგორც მოხლეჩილი ტოტი ქა-
რიან სიცხეში.

მისი ხერხემალი გალუნულიყო, როგორც ნაცეცხლური რეინის
სვეტი...

— „ვინ მოგამზადა ბებერო ემაგ ლამაზ სიტყვებით, სანამ
სურს იმ დეზერტირს იწანწალოს სოფელში და მრშომელ ხალხს უნერ-
გოს გულში ბოროტება!“ — ბრაზიანად წარმოსთქვა თაყამ.

— შეაწიე ლალა! ასე გვონიათ მე ხარჯები არ მაქვს და ყვე-
ლაფერი მისით მომდის..

დლე და ლამ არ მძინავს, იცით თქვენ ეგა?

იმუშავეთ, თქვენ თქვენი წაილეთ, მე ჩემი მომეცით, ასთეა
ეგი!! — ამ სიტყვებით შემობრუნდა, ცხენის დამკერს მათრახის ტარით
მოსელა ანიშნა.

— „მე ერთხელ გითხარით, რომ არ შეიძლება მეთქი მორჩა,
მაგაზე სიტყვა არ იყოს მეტი!“ — ცხენს მოსართავები დაუსინჯა და
შეჯდა.

— „ნუ დაგვლუპავ ბატონო თაყა“!! — გაისმა გლეხის ხმა.

— „არა, არ იქნება“!, — დაიძახა მალილიდან თაყამ მათრახის
ტკაცუნში და წაბლის ფერი ცხენი მოსწყდა ადგილიდან.

მოხუც გლეხმა სათხოენელად გაწვდილი ხელი დაუშვა კალთებზე, ფიქრით საუსე თვალები მიწას მიაპყრო..

დიდხანს იდგნ გლეხები სისხლ-გაყინული და ბედის უკულმარ-თობას, მუნჯ მიწას შესჩიოდენ!...

სიმწიფეში შესულ ყანის ფურცლებში გამოჩნდა იონა ფერ-ხულიძე.

— „რაო! რა სთქვა იმ ჩარჩ-მყვლეფელმა? — შესძახა გლეხებს ფერხულებებს და მიუახლოვდა მათ.

— „რაღა ოქმა უნდა უარს იტყოლა“? — ისევ ფერხულებემ და-უმატა, რომელიც ხელში ხმელ ფიჩს ამტკრევდა.

— ეს! უარზე ადვილი განა არის რამე! — გაისმა ჩახრინწულ ხმა წვერ-გაუპარსავ ჭალარა შერეულ გლეხის.

— რაღა დაგრჩნიათ ხალხნო! თქვენს ლარიბ მოსახლეობას დღეს თუ ხეალ სიმშილი მოელის!

ყოველ დღე სიკვდილს არ გირჩევნიათ ერთხელ მოკვდეთ, ან სამუდამოთ გავიმარჯვოთ!?

არ მივსცეთ ღალა თაყა მარგველაძეს, ვნახოდ რა ფეხებს მოვცამს!..

სულ მალე დადგება ის დრო, როცა მასეთი მყვლეფელები, როგორც ბრძანდებიან თაყა მარგველაძე, ველარ ითარებებრ თქვენს ნაშრომზე და თქვენი ოფლით მონაპოვარ ჭირნახულზე!..

მოეცაწრებით ისეთ დროს, როცა მშრომელი ხალხი წითელ დროშის ქვეშ იზეიმებს მის გამარჯვებას და თავის ნაშრომს დაეპატ-რონება!!

გადასძახა გლეხებს ფერხულიძემ და ანთებულ სახეზე სველი ტუნის ნაპირები გაიმშრალა.

გლეხები შეირხენ.

გალვივებულ გულმა ძარღვებში თბილი სისხლი შეაჩქეფა და თვალებში მღელვარების ლაპიარმა გაეკვესა!.

— არ მივსცეთ ღალა! — გაისმა გლეხებში უცხო ხმა.

— არ მივსცეთ!! — მოყვა მეორე ხმა.

— არ მივსცეთ!!!!

— არ მივსცეთ!!!! — იგრიალეს გლეხებმა.

— გაჩერდით შვილებო, ჩვენ ძალით ვერას გავაშეობთ თაყა მარგველაძესთან!

ხომ ხედავთ რანაირ ხალხში აქვს საქმე!

პრისტავი არ აკლია მის ოჯახს და ნაჩალიკი!

ისევ თხოვნით თუ რასმეს გავხდებით, თორემ მეტი გზა არა
გვაქვს - ლრმა რწმენით ჭარმოსთქვა მოხუცმა.

— არა ძმებო, ნუ დავემსგავსებით მომაკლავ აღამიანებს!

გადახდეთ თითეულმა თქვენს — ოჯახურ ცხოვრებას. რა ხართ
თქვენ თუ არა პირუტყვები, რომლებმაც უღელში აბამენ და წენე-
ლით ერეკებიან!.

ნუ გავხდებით ყურმოჭრილი მონები ერთი პიროვნების!,
არ მიისცეთ ღალა... მალა ერთობაშია!

— არ მიიცეთ!. არ მიისცეთ!. ყვიროდენ გლეხები და მუჭებს
იშვერდენ თაყა მარგველაძის სახლკარისაკენ.

△

თაყა მარგველაძე სოფელში მდიდარ კაცათ ითვლებოდა. გარ-
და მამულების შემოსავლისა მას სოფლის ბაზარში ფართლის და საწვ-
რილმანოს დიდი სავაჭრო ქონდა.

თაყა დიდი ანგარიშის და მომჭირნე კაცი იყო.

„რაც ღმერთის და ხალხის დაწესებულია მე მას ვემორჩილე-
ბი“. იციდა ხშირად თქმა.

მუდამ ხელში ეჭირა არშინი, ჩოთქი და ვაჭრული ანგარიშით
ატარებდა მის დღეს და წუთისოფელს.

მის ოჯახში ხშირად ღამეს ითევდა ქალაქიდან ჩამოსული: ბო-
ქაული, მაზრის უფროსი, მოსამართლე და სხვა წირჩინებული პი-
რები.

იყო მათთვის გაშლილი სეფა და სიცილ-ხარხარში წყდებოდა
შშრომელ გლეხობის ბედი.

ამ სოფელში, ორმოცამდე კომლი გლეხი, უშიშა-წყლობის გა-
მო ბარში გადმოსახლებულიყვნენ.

იგინი სცხოვრობდენ ქოხ-ფაცხებში და მათ შრომას არ ქონდა
ნაყოფი.

მათ შიშველ-ტიტელ ცოლშვილს არ ქონდათ საგები; პერან-
გით ვერ იფარავდენ სხეულს.

ისინი იჯარით ამუშავებდნენ თაყას მიწებს.

მათი ოფლით მოწეული ჭირნახულით შემოდგომაზე თაყას
ეზოში იცხობოდა ბეღელი, სასიმინდე და გლეხები სარჩოს ინახავდენ
ჭერის გაქვარტლულ ჩელტე.

წელს, მათ ეწია საქონლის ჭირი და არ გაუშეა ოჯახი, რომ
არ მოეკლა უღელში ხარი და სამწყესურში მეწველი ძროხა.

ცალი ხარით ბრუნდებოდა ეზოში მოწყენილი გლეხი და ატი-

რებულ გოგო-ბიჭებს სამწყესურიდან მოქონდათ ცარიელი სახრე.
საქონლის დამარხვას ვეღერ აუდიოდენ გლეხები.
ჭიშკრებზე ხვდებოდნენ ერთმანეთს და მწარე გულის კვნესას
შესჩიოდნენ.

ცველი ველარ გაყიდა ოჯახმა, რითაც საპონი და ნაეთი უნდა
ჩამოეტანათ!

წაქის ფაფა ველარ მოუდულეს ბავშებს და კატას ველარ მო-
ასლებების ნადულის წვერი.

ხმელათა მჟაღს იხურხნებოდენ თვალცრემლიანი ბავშები და
გაძვალტუავებული კატა თხელ ულვაშებ შერუჯული დაქნაოდა კი-
რასთან, ტუჩ ჩამომტვრეულ ცარელ ქოთნის გარშემო.

არ იყო მათი მშველელი და არ სჩანდა მათი მხსნელი.

თაყამ ქალაქიდან ექიმი ჩამოიყვანა, ფარებში დამწუვდეულ სა-
ქონელს აუცრა და მდიდარ ოჯახს ააცდინა ზარალი.

△

მოხუცი გლეხის მექი ფერხულიძის ოჯახი განირჩეოდა დანარ-
ჩენ გლეხების ოჯახებიდან.

მის ქოხში შესვლისთანავე ქალალდის სუნი გეცემოდათ.

უბრალოთ შეკედილ თაროზე ეწყო: დაკეცილი უურნალ-გაზე-
ბი და ბუშებისაგან გასვრილი წიგნები.

მექი ფერხულიძე მხერხავი იყო და დიდხანს ევლო შორეულ
სოფლებში.

ბოლოს, როცა გაელუნა დაუსვენარ შრომას, ხერხი მიეტოვე-
ბინა თოხი აეღო და მის ქოხს დაბრუნებოდა.

იონა მექის უფროსი ვაჟი იყო.

იგი ქალაქის რკინისგზის სადგურში უურნალ-გაზეთების კიოსკ-
ში გამოიზარდა ბავშობილგანვე. უკანასკნელ ხანებში ჯარში გაეწვიათ.

იგი გაურბოდა იმპერიალტურ ომის უსამართლობას და ხში-
რად დეზერტირობდა.

სოფელში მას სოციალისტს ეძახდენ.

მექის უნცროს ვაჟს ედიშერი ერქვა.

ხუთმეტი წლის ედიშერი მოხუც მშობლებს ამოსდგომოდა
გვერდში და შრომის კაპანს ეწეოდა.

მის ნორჩ სახის კანს ჯაფის ელფერი გადაკროდა.

ფერხულიძეების ქოხის წინ იღვა ტოტებ გადაგრეხილი უკაკლო
ბეროლა.

მის ძირში გრძელი დაჭედილი სკამი, რომელზედაც დანით ამო-

ჭრილ ასოებით ეწერა: „იონა“, „ქეთო“, „ქეთიკო“. ეს წარწერები მაშინდელი იყო—როცა იონა ზაფხულობით სოფელში ჩამოდიოდა და ქალაქში შეკუმშულ სულს დაკარგულ სატრფოს მოგონებით უსაზღვრო ბუნების კალთებში გაშლიდა.

△

„ია იმ პაკაულ კაკ ნუენო ატყაზატ ნა ლალე“—წაილულლულა ბოქაულმა, რომელიც იჯდა ჩეინის საწოლზე და მსახურს მეორე ფეხი გაუწოდა გასახდელად.

თაყამ ღიმის მიუჩვეველ სახიდან გაიღრიჭა, პატივცემულ სტუმარს ფარჩის საბანო გაუსწორა.

— მერზაეციი!—გაისმა ლენით გახურებილ თავიდან ბალიშე და მიიძინა.

თაყამ, მიგდებული მუნდირი სკამის ზურგს მოახურა, ჯიბეში ფრთხილად საკადრისი სახარჯო ფული ჩაცოცა, სანათს დაუწია და დარბაზიდან ფრთხილათ გავიდა.

△

„კაი დაგემართოს, მაგრამ რას გავხდებით ჩვენ ამათთან!

— „ძალა ერთობაშია!. თუ პირს შევკრავთ, ვერავინ მოგვი-რევა“!

— „ეხ ნეტავი რამე გაშველებოდეს და რა ვიცი!

— სადაა სამართალი ჩვენი შრომის ნახევარი იმას მიაქვს.

— კაცო, ხუმრობა იქით იყოს და თუ რამეს მოვიკიდებთ ხელს, არ ვიჩვი არაფერს, იქნება ამ სახლს ყავარი გადავახუროთ და ფანჯარა გამოუქრათ!

— ქალო, თუ რამე იქნება აბა რა ოხრად მინდა ერთი პოლ-საპოშვები და მოსახურავი, რომ არ გიყიდო რაღა კაცი ვყოფილ-ვარ.

— ვაი, მეტი იხარე შენ ჩენი ნაშოვარ ფულმა მაგიზა არ მი-იცალოს!. ეხ! ჩემო კოკინიე არ მომკდომოდა! ამ შემოგომაზე ქეი იმაკებდა. რაღა იმას ეტავი ი, ბალან დასაწვავი ჭირი!

— ეხა-ხახა... მშვიდობა იყოს, და ყველაფერი იქნება, ძალა ერთობაშია.

ასე მუსაიფობდენ გლეხი მეოჯახენი, ლოგინში, პირველ მამლის ყივილზე გამოლვიძებულნი.

△

ყანა დამწიფდა.

როველი დაიწყო.

გლეხის ნაშრომი კირნახული მიწას სწყდება და იქრიფება.
გაუმაძლარია თვალი სიმრავლეზე.

ოჯახებიდან დიდი და პატარა ყანებში გაეფინენ.

მოხუცი ბაბუა დასტოვეს სახლის მცველად. იგი ზეს მისი ხნის ნივების ძირში პერანგისმარა და ეზოში დაყრილ სიმინდს მწევ-სავს.

აწვალებს ბაბუას წუშქი ლორი, მოსტაცებს ტაროს და უძლუ-რი მოხუცი ექადნება მგლის კბილებით.

ჩიჩაყვებ დაბერილი ბატები, ქათმები, მაღა გაფუჭებულები და-კაკანობენ.

უსწორო ქუჩებში კრიკინობს გაუსაპნავი ლერძი და წელში იზ-ნიქება ნაჯაფი ხარები.

ოჯახის ერთგული ძალლი ურემს მიუძლვება კუდგალაგრეხილი და ხშირად უკან იცქირება ენა გადმოგდებული.

იწყება ლამის თევები სიმინდის ქურჩაში და ბიჭ-გოვოებს თვალები უხალისდება.



ნაშუადლევია, ყანაში შრომა გრძელდება.

თეთრ თავსაფრიანი ქალები საესე გოდორს მამაკაცებს უდგამენ მხარზე.

იონა ფერხულიძე ყანაში დარბის გაშმაგებული და შრომით გალურულ გლეხებში სთესაჭი იმედის ცეცხლს.

გლეხებში განწყობილება მტკიცეა, რომ არ გადაუხადონ მარ-გველაძეს ლალა.

ყანაში არ არის მიწის მფლობელი მათრახით და გლეხის ნაშ-რომი გაუყოფელი, ხევიანათ იყრება ჩელტიან ურმებში.

უცრივ ყინაში ხმა მოვარდა, რომ კანცელარიაზე ბოქაული ჩამოვიდა ურიცხვ კაზაკებითო! საშიშ ამბავშა სწრაფად დაირბინა ყანებში.

მუშაობა შეწყდა.

გულაძეერებული გლეხები ერთმანეთს შეჩივიან.

ფერხულიძემ ყანებში აცნობა, ერთად შეგროვილიყვნენ.

ფიქრის დროც არ იყო!

ყანის ნაპირებს ალვის ხეებივით შემოერტყა. ცხენოსანი პო-ლიცია!

ახმახი რუსული ცხენებით შემოიჭრენ ყანის გულში და მათრა-ხების ჰაერში ტკაცუნით თითეულს მიუთითეს სახლისაკენ.

აცანებული ქალები გადმოდიოდენ ყანიდან და მათ კაპის
კალთებში ეხვეოდენ ატირებული უშარველო ბავშები.

გლეხები აღმფოთებული მიათრევდენ ამღვრეულ გრძნობებს
და ატირებულ ძარღვებში იკვეთებოდა სისხლი. ერთი სიტყვა წინა-
აღმდეგი და ბოქაულის ბრძანებით მოქნეული მათრახის კუდი ოუ-
ლიან ზურგზე იშლებოდა.

მცირე ხნის განმავლობაში ყანაში აღარ სუნთქავდენ ოფლიანი
სხეულები.

ეყარა წაქცეული გოდრები და ცხენის ფლოქვებით გაჰყლეტი-
ლი ტაროები

— „სად ბრძანდება თქენი ვაეძარონი?“ გაისმა ბოქაულის
გამწყრალი ხმა ფერხულიძის ეზოში.

— შინ არ გახლამთ ჩემო ბატონო...—უპასუხა შეშინებულმა
დედაკაცმა.

— სად არის მეთქი?!— დაიღრიალა ბოქაულმა.

— არ ვიცი ბატონო!.. ვაი რა დღეს შემასწარი უფალო!—პა-
სუხს ტირილ-ჩურჩულით დაუმატა დედაკაცმა.

ამ დროს ედიშერს ყანის ლობით და დაფშენილი სიმინდი
ტომრებით გადაქონდა უპასუხლიძი იმაღლებოდა.

მას თვალი მოჰკრა „სტრაენიკმა“ და ცხენით თავს დაეცა, რო-
გორც ქორი.

იქვე/ლობესთან მოხუცი ფერხულიძე იმაღლებოდა. პოლიციელმა
მამა და შვილი ბოქაულს მიუყვანა და ერთგულების ნიშნად თვალე-
ბით გაეთამაშა.

გაგულისებულმა ბოქაულმა მოქუნტულ მოხუცს მათრახი მოუქ-
ნია, მაგრამ გრძნობის ნატამალმა შეუჩერა და მოქნეული მათრახის
კუდი ედიშერს მოხვდა ზურგზედ, ამის დამნახველ მოხუცმა მეტი
სიმწარე იგრძნო, ვიდრე ედიშერმა, რომელიც ფეხდანაჭირებ ჭიათუ-
ავით იგრძნებოდა და ანთებულ სახიდან ცრემლის ლვარს უშვებდა!..

ბოქაულის ბრძანებით ფერხულიძის ეზოში ჩატანილი ჭირნახუ-
ლი ურმებით გაუყენეს გზას.

საღამოს თაყა მარგველაძის ეზოში ჩადიოდა ჭრაქიანი ურ-
მები.

— იმ ბუნტოვენიკის აყოლა თქენ, რომ არ გარგიათ!

— იმას, მისი საქმე ვერ წაუყვანია ხეირიანად და თქენ საქ-
მეს გააკეთებს!

— ასე მოდი, ასე ყმაწვილო!—ქაქანობდა ეზოში თაყა და
უჩვენებდა აღგილს ურმის დასაცლელად.

სამზარეულოში ქალები ქათმებს პუტავდენ და ვახშის სამზა-
დისში გახურებულ კეცებში სკდებოდა აფუებული ხავაპურები.

დარბაზში ხავერდის მუთაქებში წასძინებოდა ნამგზავრ ბო-
ქაულს.

მოხუცი ფერხულიძე კანცელარიის საკანში მძევლად იჯდა დე-
ზერტირ შეილის მაგირ და უიმედო ფიქრებით შესცეროდა კარის
ჩარჩოში ამოლტილ სინათლის ზოლს!

ქოხში ფერხულიძის მეულე იჯდა ჯირჯზე და ქმარის და შეი-
ლის მოლოდინში ყურით ჭიშეარზე სდარაჯობდა და თვალი კარის-
კენ ეჭირა.

გალაზულ ედიშერს ზურგზე ციგი ტილო ეფინა. ძილგატებილი
ქრთებოდა და ბოროტი სიზმრები არ ასვენებდენ.

— ოი, ხელები გაუკენოს მამაზუციერმა ღმერთმა შენი მასთე
შემწუხებელს!.. იძახდა უძილო დედა და ასველებდა ტილოს.

იმ ღამეს ძილი არ მიკარებია არცერთ გლეხის ოჯახს.

ძილგატებილი თვალები ხეტიალობდა ქოხის ბნელ სივრცეში...

თაყა მარგველაძის დარბაზში მთვრალ სუფრაზე ისმებოდა
პატივცემულ ბოქიულის თითოეული ფოლაქის სადლეგრძელო და
სკამის ფეხებთან კატა ახატკუნებდა ქათმის ძვალს.

თავი მოორი.

საკვირველი ამბავი ჩაიტანეს სოფელში ქალაქიდგან.

„ნიკოლოზი ჩამოაგდეს და ძალაუფლება ხალხის ხელშიაო!“

გლეხები სახლში ველარ ისვენებდენ!

მუდამ ქუჩაში უნდოდათ ყოფნა!..

გროვდებოდენ დუქნებთან, და თვალყური ქალაქისაკენ ქონდათ
ახალ ამბის მოლოდინში.

„მიწა მიწის მუშასო!“ ესმოდა გლეხის ფხიზელ სმენას.

— იმე ნუ ხუმრობ შეკაცო!.. ამბობდენ გალიმებული და ყა-
ლიონს უპლაკუნებდენ.

მეოჯახე დედაკაცებს ცეცხლზე დაყრილი კეცები უცივდებო-
დათ, ლობესთან და ჭის თავზე მუსაიფში.

— ოი! ღმერთო შენ მოეხმარე გაპივრებულ ადამიანს და შენ
მიეცი სახსნელი!.. გაიძახოდენ განშორებისას დედაკაცები.

— უყურე ახლა შენ იონა ფერხულიძეს!.. ქი არ გაიმარჯვა
მისი სიტყვებმა!

ქალაქში გაზრდილია. მერე შენ ნახე რა ადგილი და საქმე
დეიკიორია!..

— ჩვენთვის კი კაია მასეთი კაცი, რომ გვეყოლება სათავეში!..

— კაია და მეტი არა!..

ასე მილაპარაკობდენ დუქნებისაკენ მიმავალი გლეხები.

თებერვლის რევოლუციით გახარებული თაყა მუდამ დღე ქალაქში გარბოდა და ესწრებოდა მიტინგებს.

ყურს უგდებდა ორატორებს და სძებნიდა ცხოვრების ახალ ხერხებს.

თაყა ცდილობდა ისეთ პარტიას მიეკუთხებოდა რომელიც უცრო ძლიერი იყო.

— მებო და ამხანაგებო! — გაისმა ერთ მიტინგზე სამხედრო ტანისამოსში ჩაცმულ ორატორისგან.

თაყამ ორატორი შეიცნო, თვალები დაისრისა, მიახლოვება სკადა, ხელები ისე გაიქნია, რომ რა მოქალაქეს მკერდი შეუწერია.

ყური არ ათხოვა გაბრაზებულ მოქალაქეთა ლანძღვას, თავდავიწყებით წინ მიიწვედა.

მიახწია ტრიბუნის ახლოს, შეჩერდა და შუბლზე ოფლი გაიმშრალა.

— რომელ პარტიაზე ლაპარაკობს ყმაწვილო? — ჰერთხა იქვე მდგომ უცნობს თაყამ.

— არ ვიცი. მიიღო პასუხი.

— აბა რა იცი, რომ დაგიღია პირი...

— რა გინდა შენ ძმობილო!.. ჩხებზე ხარ თუ!.. მიაძახა შეურაცყოფილ მოქალაქემ თაყას.

— დაუგდე ყური და გაიგებ!

— სუ... ჩუ... გაჩერდით მოისმინეთ!. გაისმა ხმები და რამოდენიმე თავე შემობრუნდა ყოყმასისაკენ.

— მენშევიკია!.. — დაბალი ხმით უპასუხა მეორე არამკითხე მოქალაქემ, რომელსაც ძალზე სწყუროდა იმ საკითხე ლაპარაკი.

— რა უნდათ ემაგ მენშევიკებს? — იმავე ტრინით ჰერთხა თაყამ და მიუჩირდა მოქალაქეს.

— მაგათ დემოკრატიული მთავრობა უნდათ, — დაიწყო მოქალაქემ.

— ეს მითხარი შენ...

— სუ... ჩუ... გაჩუმდით!.. — გაისმა ხმები.

— ვინ არის ეს შეუგნებელი გააძევეთ იქედან! — დაიყვირა ერთ ბელატ მოქალაქემ.

— სუ... ჩუ... მოუსმინეთ... გაჩუმდი!.. — ისმის ხმები.

„ჩვენი სოფლის ბატონ-პატრონი მაგი გახდება!

არც იმდენი დანაშაული მიმიძლვის, რომ გამოსყიდვა არ შეიძლებოდეს!

ბოქაულმა დეზერტირობისათვის დაიჭირა მე რაი! ვინ რა იცის, რომ მე გავეცი!

საკიროა მაგასთან დახხლოება! — ასეთ ფიქრებს დაასეირნებდა თავში თაყა და უცქერდა ფერხულიძის მოქარგულ სიტყვებს.

იმ საღამოს სოფლის დექნებთან, დილიჯნიდან გადმოხტენ ერთად ნამგზაური თაყა და ონა ფერხულიძეს.

თაყამ მოხსნა დილიჯანზე გამობმული უნაგრიანი ცხენი და ლიმილით გამოეთხოვა ფერხულიძეს.

ფერხულიძეს გლეხები სიხარულით ხედებოდენ. ფერხულიძე მათი მეთაური იყო.



— ყველაფერს იფიქრებდა და წარმოიდგენდა კაცი ბატონი ალათი, მაგრამ ნიკოლოზი თუ ჩამოვარდებოდა ემაგას ვინ გეივლებდა გულში! — გაისმი თაყას ხშა.

— გულთმისანი კი ყოფილა თქვენი ქარიშვილი ბიჭი! მაგას პატარა ცოდნა და გაეგბა უნდა? — განაგრძო ისევ თაყამ,

— მაგაზე ბატონო თაყა, გაჭივრებული ჩემი მამამთლილი იტყოდა რაცხა საიაგაო კაცი გამოვაო! იმფერად აზრიანი ბალანეიაო!

— ყველაფერი კაი აგიხდა! .. — სიტყვა გადაუქრა დედაკაცს თაყამ.

— ბაეშობიდანვე ებრალებოდა გაჭივრებული ხალხი!

— მექი სად ბრძანდება?! — საკითხს აუხვია თვალები თაყამ და მოსაუბრე დედაკაცს გაუფანტა იონას წარულის მოვონება.

— საცხა ეზოში დაფილთიალობს.

ასეთ ტებილ მუსაიფში იყვნენ ახლად დამეგობრებულები ოჯახის წევრები ფერხულიძის ქოხის წინ ბეოლის ძირში.

— ჩვენი ნომერი პირველი იქნება!

საკიროა გლეხებში ავიტაციის გაწევა! .. — მოსელისთანავე სთქვა იონამ და ედიშერს ჩამოართვა შეკონილი ქალალდები.

— აქა-იქ შემოძერენ ჯარისკაცი ბოლშევიკები! სცდილობენ დააბრმაონ მშრომელი გლეხობა და უფსკრულში გადაჩეხონ მათი უგუნურ მოქმედებით! — ისევ განაგრძო იონამ და ქალალდებს დაუწყო გახსნა.

— ემაგ ბოლშევიკები ვიღა ეშმაკებია!. მავიც პარტია! — სთქვა თაყამ.

- რალაც ერთ მუქა ჩერჩეტ ხალხისაგან შესდგებიან!..
- მერე რა ნებავთ?
- რა ნებავთ და ხალხის გაფრენა გალატაკება! მდიდრებს წავართვათ და ჩენ დავირიგოთო!
- ყაჩალები ყოფილი, ემაგათ ვინ მიემხრობა!... — წამოიძახა თაყამ
- დავიქერთ და ციხეში ჩავალპობო შაგ მამაძალლებს!..
- შეილო მარცხი არ ქნას ათასი თავზე ხელალებული ხალხია — გაისძა დედის ხმა.
- დიახ! მუტრუკ ხალხს ციხე გაასწორებს! — დაუდასტურა თაყამ.
- აა! ეს პლაკატები დუქანში შიგნით და გარეთ გააკარი. ესეც საარჩევნო ფურცლებია, რომელიც კონვერტში უნდა ჩაიღვას!..
- აბა შენ იცი დუქანში შემოსულ ხალხს ყველას მიაწოდე!.. ჩვენი ნომერი პირველია! გახსოვდეს! — უკანასკნელად მიაძახა თაყას ფერხულიძემ.
- ედიშერ, მოდი აქ!
- თუ გინდოდეს კარგი ბლუზა-შარეალი დაიჭიდე ახლა ფეხები.
- დაყვეთ და აღარ გაუშვა მოსახლე, რომ არ მისცე ეს საარჩევნო ბილუტენი.
- ედიშერი ითვლიდა ქალალდის ფურცლებს და ემზადებოდა წასასვლელათ.

▲

„ხმა მიერკით პირველ ნომერს!“

მენშევიური პარტია მუშების და გლეხების მხსნელია!

სოფელში ქალაქიდგან ჩამოსულნი ყველა პარტიების წარმადგენლები დაატარებდნენ საკუთარ ნომრებს და გლეხებს უხსნიდნენ თავიანთ პროგრამებს.

გლეხებიც ყველას პირდებოდენ ხმის მიცემას და საარჩევნო ბილუტენებს უბეში ინახავდნენ.

პლაკატები და მოწოდებები აჭრელებდა სოფელს.

▲

გათავდა ბრძოლა არჩევნების გარშემო.

შეინახეს ყუთები.

ჩამოყალიბდა მთავრობა.

თაყა მარგველაძის მიწები ხელუხლებელი დარჩა.

მოიჯარადრე გლეხებს მიწა მისცენ სახელმწიფო მამულებიდან მთაში, საიდგანაც გლეხების უმრავლესობა გაღმოსახლებული იყო სწორედ.

იმ წელიწადს მიღებულ მიწებზე გლეხებმა ტვინი დაადუღეს, მაგრამ მწირ მიწაზე მოწეული სარჩოს ჩამოტანა უფრო ძვირი დაუჯდათ. იძულებული შეიქნენ ისევ თაყას მიწები დაემუშავებიათ და ძველებურათ ეძლიათ ლალა.

„ფერხულიძემ გვიღალატა“!

ხშირად გაიძახოდენ გლეხები.

— ეს არის შენი ვაეგატონის დაპირება?! — ხშირად მიაძახებ-დენ გლეხები ქუჩაში მიმავალ მექი ფერხულიძეს.

გლეხებში უქმაყოფილება დაიბადა ფერხულიძესადმი. იგი თაყა მარგველაძეს დაუმეგობრდა!

— გლეხები გულგატეხილნი არიან!

მივსცეთ მოხერხებულად წინადადება თუ ხმას მისცემენ ჩვენ პარტიას ლალის შემსუბუქება დაეპირდეთ!

მეტი რა გზა აქვთ, დაგვთანხმდებიან! — უთხრა საუბარში ფერ-ხულიძემ თაყას.

— ჩინებული აზრია! მასე ვქნათ — უპასუხა თაყამ.

ასეთ გეგმებს აწყობდენ შეამხანავებული თაყა და იონა ფერ-ხულიძე.

ფერხულიძემ მარგველაძეს ბევრი ახალი საქმეები გაუჩინა.

ერობის მთელი სხვილი სავაჭრო საქმეები თაყას ჩაუგდო ხელში.

ვაჭარი მარგველაძე თავისებურათ მოქმედობდა.

გარეთ ქეითსაც კი შეეჩინა პირშავი თაყა და ხშირად სასტუმ-როში კახპა ქალებთან დროს ატარებდა.

დამფუძნებელი კრების არჩევნები იწყება! საჭიროა ერთი რი-გიანი მუშაობის ჩატარება, რომ გაძლიერდეს ჩვენი პარტია! — ფიქ-რობდა ფერხულიძე.



— მშრომელო ხალხო! კარგათ იცით, მენშევიქური პარტია გლეხების და მუშების პარტიაა! — გაიძახოდა სოფლის მიტინგზე ფერხულიძე.

— ძირს!.. ძირს!.. სტუცის!.. მოლალატეა!.. ძირს!.. — გაისმა ხმები და სტვენა.

— ვინ არის ეს პროცესატორი დაიჭირეთ არ გაუშვათ — დაი-
უვირა ფერხულიძემ.

— თვითონ შენ ხარ პროცესატორი!.. მოლალატე გლეხების
გამყიდველი!.. — ისმის ხმები.

— მე თქვენ გიჩვენებთ ვინც არის პროცესატორი უკანასკნე-
ლიდ დაიძახა ტრიბუნიდან ფერხულიძემ და მილიციას მიმართა.

ტრიბუნაზე ჯარისკაცი ავიდა.

— დაიჭირეთ ჩამოაგდეთ!.. — იძახის ფერხულიძე.

— ალაპარაკეთ, ალაპარაკეთ!.. — ისმის ხმები.

— ჩამოაგდეთ პროცესატორია!.. გაყვირის ფერხულიძე

— ამხანაგებო! გლეხებო თქვენი ხსნა ოქტომბრის რევოლიუ-
ციის...

ჯარისკაცს სიტყვა შეაწყვეტია მილიციელებმა — ეს ფერხული-
ძის ბრძანება იყო.

ჯარისკაცი არ ჩამოდის, მილიციელი უქაჩავებს.

გაბრაზებული ჯარისკაცი ხელს ჰქონდა მილიციელს. უკანასკნე-
ლი ტრიბუნიდან ვარდება.

მილიციელებს ჯარისკაცი კრებიდან ცემით გაჰყავთ.

ჯარისკაცს გამოექომავა რამოდენიმე გლეხი, მოხდა ხელჩარ-
თული შეტაცება.

მილიციელებმა იარაღს მიმართეს.

ხალხი აირია.

მცირე ხნის შემდეგ დაჭრილი და გასისხლიანებული ჯარისკა-
ცი სადღაც მიყავთ. დარჩენილ ხალხში ფერხულიძემ ისევ განაგრძო
სიტყვა.

▲

გლეხები თაყას წინადადებას მტრულად შეხვდენ. დიდი უმ-
რავლესობა არ დასთანხმდა.

არჩენებში პირველ ნომერმა ცუდი შედეგები მიიღო. ფერხუ-
ლიძემ საყვედლური მიიღო პარტიაში.

გაბრაზებულმა ამით თაყას უფლებები აუწია.

თაყამაც ძელებურად გაისეირნა საყანე მინდვრებზე თოხარიკ
ცხენით და ძვლის ტარიანი მათრახით.

წარსულ მოსავალზე გაცრუებულ გლეხებმა თაყას მიმართეს მი-
წებესათვის. თაყამ უარი განაცხადა ზოგ ადგილების გაცემაზე და
ზოგს კი ისეთი ღალა დაადგა, რომ გლეხებმა თავი მიანებეს. თაყას
საქციელმა გლეხებში უკმაყოფილება უფრო გააძლიერა.

უნდა ასე უნდა შეგვეძლოს თაყამ—გაიგონებდათ გლეხების სა-
ჟაფარის გადასაცემის მიზანისთვის.

განათებული ახლოვდება.

გლეხმა ხენა-თესვის უნდა მოჰკიდოს ხელი, მაგრამ საღ! რო-
მელი და ვისი მიწა უნდა მოხნას.

მთაში წასვლა კი შეუძლებელია.

არა და არა სჯობს დაიგიხოცოთ სიმშილით ეიდრე შარშან-
დელი განვიმეოროთ—ამას ფიქრობდა თითეული გლეხი და დასჩე-
რებოდა სახისს.



— რისი პატრონი ვისი თხოვნა და ლალა!

მიწა ჩეენია გამოდით გლეხები!

ძირს მენშევიკური მთავრობა!

გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას!

ასეთი ლოშუნგებით ჩამოიარა რამოდენიმე ჯარისკაცმა სოფე-
ლი. გლეხების უმრაველესობა მათ გაუვა. შეიქრენ თაყას მიწებზე და
დაიწყეს ხენა. ეს ამბავი მალე მოედა სოფელს.

თაყამ გლეხების საქციელი ქალაქში აცნობა ფერხულიძეს.

ფერხულიძემ გლეხების საქციელი აჯანყებად მონათლა და
მოვრობას აცნობა.

იმ დღემ მშეიდობიანიდ ჩაიარა.

მეორე დღისათვის სხვა გლეხებიც გაემზადენ ყანებში გასას-
ვლელათ. დილიდანევ მზეს ლრუბლები ეფარებოდა. გლეხები ყანეპში
მუშაობდენ.—გარეთ ხარო! — ისმოდა შემოძახილი. ვოგო-ბიჭები
მიუძღვებოდენ ულლებში შებმულ ხარებს.

დიდ გზეტკეცილზე გამოჩნდა ცხენოსანი გვარდია. დანიშნულ
ადგილას შეჩერდნენ.

რამოდენიმე ცხენოსანი ყანებისაკენ გაემართა. გლეხებს წინა-
ნადადება მისცეს სამუშაო დატოვებიათ.

გლეხები არ დასთანხმდენ.

გვარდიელებმა იარაღს მიმართეს. თოფები ააჩირიალეს.

— გვესროლეთ!.. ჩვენ არ გვეშინია სიკედილის. რაც უფრო
მეტად შეილებება მუშების სისხლით წითელი დროშა მით უფრო
ბასრი და შეურყეველი იქნება მათი გამარჯვება. გაიძახოდა ყოფილი
ჯარისკაცი.

გლეხები. შეეტაკნენ გვარდიელებს. გვარდიელებმა დასკრეს რა-
მოდენიმე კაცი, რითაც დაიმორჩილეს დანარჩენები.

სოფელში დედაკაცებს ამბავი მიუტანეს, გვარდიელებშია ყანები
ზი თქვენი ქმრები და შვილები ამოწყვიტესო.

ატყდა კივილი, ბევრმა დასტოვა ჩაუკეტავი სახლი, აკვანში
ბავში და სახედაკაწრული ყანისაკენ გაექანა.

კანცელარიაზე დაპატიმრებული გლეხები გადაარჩიეს და ქა-
ლაქის გზას გაუყენეს.

ამ წელიწადს თაყას მინდვრებზე საქონელი ბალახობდა მხო-
ლოთ.

უმიწა-წყლოთ დარჩენალი გლეხები ქალაქში გადაცვიცლენ სა-
მუშაოს საძებნელად.

სოფელში განიდა ავადმყოფობა, უექიმო, მშიერი და მოუვლე-
ლი ავადმყოფები იხოცებოდენ.

თაყა მარგველაძე კი ისევ ვაჭრობდა, ოქროს სათვალებით ჩას-
ტეროდა დაეთარს და ფულებს ანგარიშობდა.



— ამოსწი, ამოსწი, ქუსლი დაარტყი, მაგრე, მაგრე ახა, ჩავი-
და. გიჭერს?

— ხო! ცოტა თითებში.

— გაიარე ოუ მართლა ისთე გიჭერს გამოცვლი.

— იშ რა კარგებია! ძმა მყავსო შენ უნდა დაიჩერო!

ასეთი მხიარული საუბარი იყო ფერხულიძის განახლებულ სახ-
ლში და ახალ დაგებულ იატაზე ახალ ფეხსაცმელებით დადიოდა-
ედიშერი.

— დედა აქ მოდი!

— რა შვილო?

— ის ქალალდში შეხვეული გახსენი!

— ო შენ შემოგვევლოს შვილო დედაშენი! სად გაგახსენდა
ბიჭო!..— გახარებულ აღათიმ შარფი ზურგზე მოისხა.

— ეს რაღაა დედა?

— ბიჭოს მამაჩემმა რაღა დააშავა, მაგი არ იბრძოდა რევო-
ლუციისათვის თუ!..— ხუმრობით სთქვა იონამ.

— ვინცხა იძახის გახედე დია ერთი!

— დედაჩემმა შემოგითვალით იქნება ცოტა ქბილი მასესხოთ
პარასკევეამდიო—ჩაკეტილ ჭიშკართან თავდახრილი და ფეხების სრე-
სით წაიბუტბუტა პერანგის ამარა თავმოპარსულ გოგონამ, რომელ-
საც ხელში ცეცხლზე გარუჯული სამხედრო ქვაბი ეჭირა.

— ბეგლარის ძლაბია ფქვილი მასესხეო.

- სუ... აგერაა ბალკონზე.
- იყოს გაიგონოს აბა! მე მეტი აღარ შემიძლია!..
- ხო გაატანე ნუ კაპასობ...—გაზეთზე თვალმოყცილებლად
წიმოიძახა იონამ.

— დედა შეილო პირველი კი არ არის აგი! — სთქვა აღათიმ
და ქაბი ისე გამოგლიჯა კარებთან აწურულ ბავშვს, რომ ორივე
ხელები ძირს ჩამოუგდო.

— ომ აღათი დამწვარი!.. ვერ დატერა ხელებ დასაჭირობმა!.. —
ჰიშკარში ჩასელისთანავე შესძახა ძუძუებ გადმოყრილ ქალმა, რო-
მელსაც ჩაძინებული ბავშვი ეჭირა ხელში.

— უი დია რა გაკრიალებული პოლსაპოშკები ეცვა ედიშერს!
დეიპიტკებოდა სიძესავით.

— რა უჭირს ეს ქვეყანა ფერხულიძეებისთვის გადატრიალდა!
მოფიჩხე დედა შეშა და დაანთე ცეცხლი.

— ხო მართლა დედა კიდევ იყო მინადორიე!. სულ რომ და-
მრჩეს მოუნათვლელი სხვის მაინც არ მოვანათვლინებო!

— რა უნდა უყიდო იკითხა იონამ.

— რას უყიდო შეილო, რაკი შეჩს მეტი არავინ არის ჯვარიც
შენ უნდა უყიდო და მიტკალიც თუ იშოვნი.

— დედი ხო ეგ მასე იქნება!. შენ ახლა ერთი ცხელი ხაჭაპუ-
რები გავიკეთე!—ჩვენ მანამ ნარდზე გავერთობით.

— კი შეილო — კი დედა!. ი, კაცი სად წავიდა აწი
ამდენწანს — სთქვა აღათიმ, ფანჯარაში გადიხედა და სამზა-
რეულოში შევიდა.

— ახლა რუსეთში ბოლშევიკებია?..—გაისმა ედიშერის ხმა.

— ითამაშე ზაშიდუ. — პასუხშე აღრე უთხრა იონამ.

— ბოლშევიკებისაა გამომცხვარი მჭადები!— დაგვიანებით უპა-
სუხა იონამ.

— ხო მარა დენიკინის გამარჯვებას ბოლშევიკების გამარჯვე-
ბა არ სჯობია?

— მაგენს ყველა გვირჩევნია! იაგნები, დაიცა შენ ვისთან ბე-
დავ ნარდის თამაშს! ჯერ მომებარე მეტე მეთამაშე.

ედიშერი თამაშს განაგრძობდა.

(შემდეგი იქნება)

მსჯელობა მოხავალ საქმეების გამო

სოციალისტური ოღმშენებლობა გარკვეული გეგმით მიმდინარეობს, მაგრამ გეგმები მარტო სახ. საგეგმო კომისიის საკუთრება არ არის. კულტურული რევოლუციის პროცესიც გეგმიან კალაპოტშია მოქმედები, რომლის პირველ საფეხურს წერა-კითხვის უცოდინარობის, სალიკვიდაციო პუნქტები წარმოადგენს.

პროლეტარული მწერლობა გეგმიანი მუშაობით იკაფავს გზას. მთავარია: წარსულის გამოცდილების გამოყენება და მომავალ საქმეების ნათელი წარმოდგენა. პროლეტარულ მწერლობის პირველ საკავშირო ყრილობის საქმიანობა ამ ხაზით მიიმართებოდა. ეს საერთო თვისება თანაბრად ვრცელდება კერძო შემთხვევებზედაც. ამ რიგად, როდესაც პროლეტარული პოეტი კარლო კალაძე მსჯელობს თავის მომავალ საქმეებისა გამო; ეს საესტებით დასაშები და ფრიად საქირო მოვლენაა. უცილებელია, რომ თვითონეულმა მწერალმა ისწავლის თავის წარსულ შეცდომებზე და გარკვევით წარმოიდგინოს მომავალი საქმიანობა. ამ საქმიანობის მტკიცება ზედმეტია. რამდენი რამ გვაქვს გამოსახულებელი, გასარკვევი, შესასწავლი. რამდენადაც მეტს იფიქრებს ჩვენი მწერალი ამ საქმეებზე, იმდენად ინტენსიურად წავა წინ პროლეტმწერლობის მუშაობა, იმდენად ნაკლები იქნება შეცდომები.

ამ შემთხვევაში საინტერესოა კ. კალაძე თუ როგორ აფასებს თავის წარსულ მუშაობას და როგორ ესმის მომავალი. რა თვალსახრისიდან გამოდის მისი შეფასება და რა გზებს ისახავს. ამის გამომრკვევ მასალას წარმოადგენს ჩვენი ეჭრნალის ამ ნომერზი დაბეჭდილი ლექსი: „მსჯელობა მომავალ საქმეების გამო“ თითოეული პროლეტარული პოეტი ებრძვის უცხო სოციალურ ფენათა გარემოვას, ებრძვის საკუთარ გრძნობების არა ბოლშევიკურ ფრაქციებს.

გლეხური ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა კონფერენციაზე მოხსენების შემდეგ მკითხებს: არის თუ არა გილახრები პროლეტარულ მწერლობაშიო? დაუდასტურე: გადახრები პროლეტარულ მწერლების ზოგიერთ ფენებში იყო—არის. ამის მიზეზია:

პროლეტარული მწერალი ჩამოყალიბებული არ იძალება. ის ნაკო-
ფია სოციალური გარემოების საქართველოში კი დიდია ფედალიზ-
მის ნაშთები, (რომელიც ეხლა „მხრებ შეკრულია“, მაგრამ არა
„ვაჟკაცებივით“). წვრილ-ბურეუაზიული ობივატელური ხავსის ნარ-
ჩენი. ზოგიერთ პროლეტარულ მწერალს ამ ფენების არსებობა
შემოქმედებით ხაზს უზიანებს. აქედან გამომდინარეობს გადახრე-
ბი ნიმუში: კ. კალაძის უკანასკნელი პერიოდის შემოქმედება.

იმდენად, რამდენადც მუშათა მასა იზრდება—მტკიცდება
მშრომელ გლეხობასთან ერთად, ყოველ მხრივ ყალიბდება პროლე-
ტარული მწერალიც.

ასე, რომ სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდში ხაზის
გამრუდება შორს ვერ წაია. სულ დიდი, ის პირველ საფეხურს ვერ
ჯას კდება. კ. კალაძე გრძნობს თავის წარსულ შეცდომებს და ცდი-
ლობს იმათვან გამიჯვენას. ჯამსაღი და სასიცოქსლო სურვილია,
შაგრამ როგორ და რისთვის ხორციელდება ეს სურვილი? სწორი
ხაზით მიიმართება თუ არა?! სამწუხაროდ რომ არა:

„აქამდე თქმული მთამ შეიძინა ჩაფიქრებულმა.

ისინი ეხლა ვაჟკაცებივით მხრებ შეკრულია.

მოვიკალ ჯავრი და სხვა ლექსებით აკლადებულვარ

ო, კარგო ჩემო, სიცოცხლე უფრო დიდებულია“.

ამხანაგო პოეტი, სხვა ლექსებით, რომ ადიდებულხართ გვჯე-
რა და გესალმებით, მაგრამ რად გინდათ წარსულის გაკეთილშო-
ბილება, მასზე რად სტირით: „მოვიკალ ჯავრი-ო“ გვგონია არ ლირს,
„ქველ ტფილისზე“ და „მამა-პაპის ძველებზე დარტი“. სასტიკად
შემცდარი ხართ, როდესაც ამბობთ „ისინი (ე. ი. ძეელად თქმული
ლექსები) ეხლა ვაჟკაცებივით მხრებ შეკრულიათ“, რა და როგორ?
თვევნი ძეელი დამახასიათებელი ლექსები. დათმობა მამულიშეიღო-
ბას! „სამშობლო საქართველოს ტრფიალი“!?

ეს განწყობილებანი სრულებით არ არის ვაჟკაცური სიძლიე-
რის. ისინი ფრიად ბებერი და უნიათონი არიან. კედებიან უეოდა-
ლურ და ბურეუაზიულ საქართველოს სიკვდილთან ერთად. გედის
სიმღერა იყო როდესაც ისინი ჩრჩილივით შეხეიზნენ პროლეტარულ
პოეტს. თუ სცილდებით წარსულს, მოსცილდით ცრემლების გარეშე
შემდეგ კარგია, რომ გულლიათ მიღინართ მშრომელთან.

— მშობლოდ მსურს შენთან —

აი, მშრომელი კაცი რომ ხარ-ჩემო კარგო,

დრო გავათოო, კარგი სახლეარიც აგიშენია

მიღი ჩემგან გამარჯვება“.

მაგრამ, ამას რაღაც ინტელიგენტური მისვლის იქნი დაკრავს. იქადრეთ! შემდეგ წინადაღებას აძლევთ მას: ჩემშე ვიღაპარაკოთ-ო მეტის მეტი შეუხამებელი ფამილიარობაა; მართალია რომ „თქვენ ისეთი კარგი ხართ თქვენ პოეტი ბრძანდებით“, მაგრამ ამხანაგო პოეტი ღირს ამდენ ამბათ რომ ძევლი ბრძოლების მაგიერ თქვნე ილპარაკოს მუშაბ რომელსაც „კარგა სახლყარი აუშენია“ (!?) პროლეტარული პოეტი ხართ და სადაურია ისეთი დაპირდაპირება. აქეთ შენ, პოეტი, — იქეთ მშრომელი; შორიდან მობრძანდით და გინდათ თქვენზე ისაუბრო!?!?

პროლეტარულ მწერლისათვის მისვლის საჭიროება არ უნდა არსებობდეს. დადებითია, რომ შეგნებული გაქვთ საკუთარ მასას მიწას „დაუმარცხებლად ვერ გაშორდები“, ამის შეგნება საჭირდარია მშრომელთა მასასთან ორგანიული გაერთიანების, გზების საბოლოო გამოსწორების. ესაა მთავარი ძარღვი კ. კალაძის „მსჯელობის მომავალ საქმეებზე“ — მაგრამ როდესაც სკლილდებით წარსულს და უბრუნდებით საკუთარ კლასს ძევლი „ფილოსოფიის“ ნარჩენები რად მოგაქვთ თან? სადაურია ეს მარგალატები:

„წერტილის ირგვლივ დაბრმავებული ხალხი ირვე
და შენდა ბედად მოჟეურებია გაქეულო სადმე“.

რას გულისხმობა „წერტილათ“. გარევეით ილაპირაკეთ ამხანაგო პოეტო. რად აბნელებთ და რად გვაბრმავებთ. რომელი დროსა და სივრცეშია თქვენ ბრწყინვალე პოეტურ თავში გამოგონებული „დაბრუვებული ხალხი“!? მისამართი არ შეგეშალოთ. ლექსის მოხერხებული ისტატობა კარგია, მაგრამ უხეირობას უფრონიშნავს. როდესაც ვერ იტყვით გარკვევით და პირდაპირ. არ დაგავიწყდეთ, აქ მხატვრული სისუსტეა. ზოგიერთმა გულბრუვილო მკითხველება შეიძლება ითიქმოს, რომ ეს დაბრმავებული თანამედროვე „ხალხია“ და „წერტილი“ კი ჩვენი არსებობის, თავგამეტებული ბრძოლის და შრომის მიზანი — კომუნიზმის თქვენ ხომ. ეს არ გინდოდათ გეთქვათ, თქვენ ხომ თითონ გაიღაშექმდთ ამის წინააღმდეგ; — მაგრამ ვინმემ — კითილის თუ ბოროტის მსურველმა ასე რომ გაიგოს ეს სტრიქონები, მაშინ რას შერებით? ამიტომ უნდა ერიდოს პროლეტარული პოეტი ბუნდოვანებას, გაურკვევლობას, ორაზროვნებას, სიტყვაზე, ლექსზე, ფორმაზე მუშაობა სრულებით არ გულისხმობს,. აზრის მრავალნაირ ფარდებში გახვევას. პირიქით:

„ვრცელია მიწა და რამდენი თვალი გაეხილება
იმდენი გზაა მაშასადამე“.

მიპქარავთ!... არქი-ანარქიზმის უბადრუკი ფილოსოფიაა, უნიათო ინტელიგენტების მიერ გამოგონილი.

შემოქმედებით, ავადმყოფობა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. საკმაოდ ძლიერია. საკმაოდ ძლიერია.
ეს გარეულად და აშეარად სჩანს. ისტორიულ სინამდვილის გათ-
ვალისწინებით მარქსიზმი ამტკიცებს, რომ „რამდენს თვალი
გაეხილება იმდენი ერთი გზა ჩნდება“. ო ამ პროცესის
დაგვირგვინება პროლეტარული რევოლუციაა. პროლეტარიატში
კლასობრივი შეგნების გალვივება, „თვალის გახელა“, ერთ რევო-
ლუციონურ გზას აჩენს და არა წინააღმდეგა შეგნებით თუ შეუგნე-
ბულათ არის ეს ნათქვამი, ორივე შემთხვევაში მიუტკეცებელია.

ვიდრე ასეთ რამეს წამოროშავთ და დასაბეჭდათ გააშადებდე,
პროლეტარული პოეტი ვალდებული ხარ იცოდე მარქსიზმის ანა-
ბანა. პროლეტარულ პოეტს ზეპირი „ოქროპირობა“ და მარქისტო-
ბა არ შეფერის.

ქ. კალაძე უნარიანი მწერალია. გეგმიანათ და ენერგიულა თ
მუშაობს მასალაზე. მაგრამ ჯერ კიდევ არა აქვს, სათანადო კლასიუ-
რი გამობრძმედილობა. ამის შედევი ასეთი „ჩავარდნებია“. საჭიროა
მეტი სერიოზული მუშაობა საკუთარ თავზე. შეცდომების შეგნებას-
თან ერთად აუცილებელია მომავალ საქმეების მეტი ნათელი წარ-
მოდგენა.

პროლეტარული მწერლისათვის არ კმარა, რომ „ცხოვ-
რების ყოველ დადგენილებას შეგნებულად დაემორჩილოს“, არამედ
ის თვით უნდა გრძნობდეს თავს, ამ დადგენილებების უშუალო ავ-
ტორიად. საჭიროა კლასიური ალლოს მეტი გამახვილება.



პ ი პ ლ ი ღ რ ა ფ ი ს

„ქართული მწერლობა“ № 1, № 2—3, № 4, № 5. 1928 წ. ხ.
ხაქარ. ხაბეკოთა მწერლების ფედერაციის ყოფელთვ. უურნალი
ხაქარ. ხაბეკოთა მწერლების ფედერაციის ყოფელთვ. უურნალი

უკვე შესამე წელია, რაც გამოდის უურ. „ქართული მწერლობა“, რომელიც წარსულში წარმოადგენდა მწერალთა კავშირის უურნალს, ამგამათ კი საბჭოთა მწერლების ფედერაციის ორგანოა. უურნალის არსებობა რატომდაც აუცილებელია, მიუხედავათ იმისა რომ ის კერ სდგას თავის სათანადო სიმაღლეზე და არც გამოხატავს საბჭოთა მწერლობის ინტერესებს ან თუ გამოხატავს მხოლოდ უარყოფითი რიგის მიმართულებით.

უურნალი აშენათ მემარჯვენე ორგანოა, მიუხედავათ იმისა, რომ მასში მონაწილეობას იღებენ მწერალთა კუველა დაჯუფებების წარმომადგენელნი. უურნალმა ჯერჯერობით კერ შესძლო თანამგზა-ვრულ სახის გამორჩევება.

მასში თავსდება უმთავრესათ ქართველ მწერლების კულაზე ჩამორჩენილი, უძლური, ხალტურული ხასიათის პროდუქტია, რომელიც ბევრ შემთხვევაში ძლიერ შორს სდგას თანადროულობი-საგან.

უურნალს მხოლოდ მოწინავეებით უხდება კურსის აღება დღევანდლობისაკენ (მაგ. № 4), რაც რასაკეირველია ოდნავათაც კერ ფარავს მის მთავარ ნაკლ.

ძნელია რასაკეირველია გარკვეულათ მისი თქმა, რომ ქართველ მწერლებმა არ გადასდეგს ნაბიჯი საბჭოთა დღევანდლობისაკენ, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ადგილი აქვს მემარჯვენე შემოტევას, შემოქმედებით უმოძრაობას უფრო მეტი ადგილი აქვს საეჭვო ხასიათის ფაქტებს და ტრადიციულ კურიოზებს.

დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა „არიფიონი“-ს კრებული და ნათელყო ეს გარემოება. მაგრამ უფრო სამწუხარო ის იყო, რომ ასეთივე ხაზის გაგრძელებას წარმოადგენდა ფედერაციის სახელით გამოსული „ტრადიციული“ „პოეზიის დღის“ გაზეთი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ქართველ მწერლების დიდი ნაწილი, მაგრამ მით უარესი, რადგან მის საშუალებით აღვილად შესაძლებელი შეიქნი იმის შემოწმება, თუ რა მარაგი და შესაძლებლობა გააჩნია ქართულ მწერლობას.

ამ „გაზეთში“ ქართულ კიდევ გარევეულათ გამოამტავნა ქართულ მწერლების იდეური სილარიბე და საზოგადოებრივი ჩამორჩენილობა, რომლის ნიშნით რასაცვირველია არ შეიძლება არ მიღიოდეს ურნ. „ქართული მწერლობაც“.

იდეილი ასახულია ის გარემობაც, თუ რათ იქნებს ქართულ მწერლების შემოქმედებაში მთავარ ადგილს ბანალური, ეროვნული, სექსუალური თემები, თუ რათ ხდება იგი მათი ფაქტების ხელშესახები „ქტულური“ მასალა. ეს კი რომ ასეა, ამის დამამტკიცებელია „პოეზიის დღის“ გაზეთი და „ქართველი მწერლობის“ ისეთი ფაქტები, ოფორტუნა თუ გინდ გრ. რობაქიძის კურიოზული რომანი „ფალესტრა“, გამსახურდისა „ჯამუ“ („ტაბუ“), ი. გრძაშვილის „ნადირობა ნიამორებზე“, კ. ნადირაძის „აფხაზეთი“, ტ. ტაბიძის „გომბორზე“, „მაშ გამარჯვება“ და მთელი რიგი შაბლონური ანტი-მხატვრული ისეთი ლექსებისა, როგორიცაა: ვ. გაფრინდაშვილის „ლიირიკა“ „დაბალი ხმით“, „გაზაფხული თებერვალში“ პ. იაშვილის „ერთი კვირა“, ვ. რუხაძის „მუშის სიმღერა“, „ზამთარი“, ს. შანშიაშვილის „გვილილი შარა“, და სხვა მრავალი.

მხატვრულ პროზაზე, ხომ ლაპარაკი არ შეიძლება. ამ მხრივ არა თუ მარტო „ქართული მწერლობა“ არ იძლევა ახალს არაფერს, არამედ ისეთი უურნალი, როგორიც „მნათობია“, სადაც დაწყებული მ. ჯავახიშვილის მოთხოვნებით („ქურდი“ და სხვა) და გათავებული თუგინდ გამსახურდისა, ჯორჯიევის, პაპავას ნიმუშებით. თამამათ შეიძლება ითქვას ამს. ბუხარინის სიტყვებით, „რომ ეს არაა შემოქმედება და არც ლიტერატურა, არამედ მკვდარ ადამიანებისათვის მწერანე მწერარების წარმოება, რომელსაც თანდართულობისათვის შემოქმედებით მკვდარი ადამიანები ქმნიან“.

კველა ამის შემდეგ ტყუილია იმის მტკიცება, რომ ქართულ მწერლების თემატიკაში „საგრძნობი“ განახლებაა, როგორც ამას სწერდა „პოეზიის დღეში“ ბ. ელენტი, რაც არაა მართალი და უფრო ქაზონური „თეორეტიკოსობაა“ ქართული მწერლობის. ვიდრე მემარცხენების პრინციპების დაცვა.

დიფერენციაციის პროცესი ქართველ მწერლებს შორის მართალია, თითქოს გაცდა პოლიტიკურ სტადიას, ქართველ მწერალთა უმთავრესობა თითქოს ცდილობს კულტურული რევოლუციის საფუძველზე მუშაობას, მაგრამ ბევრი ბათგანი ვერ ნახულობს, თანადროულობის ამოცანებს, ახალი ყოფის, ახალი ადამიანის ახალი უძრნების და საერთოდ ახალი შემოქმედებით საწყისებს. ეს კი ერთგვარ კრიზისშეც ლაპარაკობს და აშკარა დაღს ასვამს ურნ. „ქართულ მწერლობის“ ყოველ ნომერს.

უურნალის სარეცენზიო ნომრებში რასაკვირველია არის ისეთი ფაქტებიც, რომლებიც იდეოლოგიურ-მხატვრული თვალსაზრისით მისაღებია, ასეთია მაგალითად ტ. ტაბიძის „უკანასკნელი ნაწარმო-ები „გემბი ორპირზე“ (№ 5), რომელიც უსათუოდ ღირსშესანიშნავი ფაქტია, მაგრამ ვის აქვს გარანტია. რომ პოეტი ხვალ ისევ არ გაღუნავს ამ ხასს და არ დაუბრუნდება წარსულის ბანალურ თემებს.

შედარებით სხვებთან კარგია გრ. ცეცხლაძის პოემა „ოთხი მაუზერი“ (№ 2—3), სადაც ათას ცხრაას ექვსი წლის რეაქციის პერიოდის მომენტებია მოცემული.

კარგია ლექსები ს. ჩიქოვანის „მოსკოვი“ (№ 1) 6 მიწიშვილის „პაოლო იაშვილს“ (№ 1), რ. გვეტაძის „ფარული სტამბა არქიელის გორაზე“ (№ 4). და ბოლოს პროლეტარული პოეტის ფრ. ნაროვაშვილის პოემა „პოემა სხვა და სხვა საკითხებზე“ (№ 2—3). პოემა საინტერესოა მით, რომ კომუნისტური ტრაქტოვკით აყვნებს ჩვენი სინამდვილის აქტუალურ საკითხებს.

უურნალში ბევრი უმნიშვნელო თარგმანებია და წერილები, რომელთა შორის საყურადღებოა მხოლოდ ორიოდე: 6. მიწიშვილის „აქტუალურ საკითხებზე“ (№ 1.) მ. ჯავახიშვილის „ქრონიკა თუ შემოქმდება“ (№ 2—3). წერილები 6. ნიკოლაძეზე (ს. ხუნდაძის, კოტეტიშვილის) და მ. გორკიზე, რომელზედაც მიძღვნილია უურნალის უკანასკნელი ნომერი (№ 5).

სუსტ მონაწილეობას ლებულობენ უურნალში პროლეტარული და მემარტენი მწერლები. ბიბლიოგრაფიული განყოფილება ყველა ნომრებში ცოტაა, უურნალ „ქართული მწერლობის“ ოსებობა აუცილებლათ საჭიროა, მაგრამ იგი არ უნდა იყოს ბანალობის და ყოველგვარი „უგემურების“ და უდლეურების გამომტენი. საჭიროა მასში მეტი ცოცხალი მასალის შეტანა და რაც მთავარია თანამგზავრული სახის გამორკვევა. სხვა დანიშნულება უურნალს არ აქვს და მის გარეშე ვერ იარსებებს მომავალში.

აღ. სულავა

კონსტანტინე გამხახურდია ტაბუ. კოლექცია რენესანსი

ზოგიერთი ჩვენი მწერლები წინმსვლელობის მაგიერ უკან და უქან იხევენ. თანამედროვეობას არამც თუ თანდათანობით უახლოვდებიან, არამედ უფრო ლრმად და დიდ მანძილითაც სცილდებიან. დღევანდელ ეპოქაში მცხოვრებთ წინა ეპოქის სული უდგიათ. ასეთიც სხვებთან. ერთად სარეცენზიო წიგნის ავტორი კონსტანტინე გამსახურდია.

კონსტანტინე გამსახურდიას ჯერ კიდევ ვერ დაუხწევია თავი.
 ფეოდალური საქართველოს იდილიისათვის. ის კვლავ ძელი ცხოვ-
 რების ბურანშია. ხანდაროზ ალებული მიმინოები, აგურის ფერი ჩო-
 ხიანი ხალხი, კალმუხივით აწეწილი ხულა და მარანი, ორჩოფეხებზე
 შემდგარი ნალიები, აყლაყუდა ჭების საქაჩები, მთელ ქვეყანაზე
 უძლიერესი და უმოქლესი ზუები, მდარე ტბორებით საესე თხრი-
 ლები, ჭიშკარზე უანგიანი ნალები, კისერ გადატყაული, — ჯაგარ შე-
 მოცვეთილი ულლიანი ღორები, ჭიშკარების ჭრიალი, გაუსაპნავი
 ბორბლების კენესა, დამორჩილის მამლების ხრინწიანი ყიყლიყო, ნა-
 ჭისქილარზე ბერჩხათი დასიცხული სიმიდით დატვირთული ურმები,
 მეგრულად შეკრული ჩაბალახები, თეთრი ჭილის ქუდები, ორეულია
 მოსიარულე წყვილი გლეხები, მუცელ დაბერილი საქონელი, ყურებ
 ბარტყუნა კუდ აშვერილი ნიგაზები და მრავალი სხვა, რითაც გა-
 ცოცხლებულია ფეოდალური საქართველოს იდილია.

ავტორი რომანტიკოსობს ამ იდილიისადმი. ის გულდაწყვეტი-
 ლია ამ შვენიერების დაკარგვით, ის მხატვრული სალებავებით ამ-
 შვენიერებს ამ უწყალო ხელით დანთქმულს. ამასთანავე აქსებს მას
 მისტერიებით, მოჩენებებით, მოდვებით, სიზმრებით, ლოცვებით,
 შელოცვებით, კუდიანებით ჭინკებით და სხვა.

ავტორი როგორც სჩანს ერთობ უიმედოთ გადავარდა მისტე-
 რიაში. ის სასაფლაოზე, საფლავის ქედის წარწერებს კითხულობს,
 მიწის კაცებს ხვდება შებინდებულზე პირალმა მწოლარეს, ცას რომ
 უშვერდა თავის წითელ ხორციან მუცელს. ესტუმრება მოხუც დია-
 კონს უდაბურ ეწერში. მისტერიით შებყრობილს უნდა ენახა ეს საბ-
 რალო მოხუცი. სხვა რომ არ იყვეს მისგან უსწავლია სიზმრის ასსა. თუ პირმოსწნეობათ არ ჩამოართმევთ ის მზათაა აკოცოს კიდევ მის
 დამჭენარ სახეს. როგორ არ უნდა აკოცოს და ემბოროს, როდე-
 საც ამ მოხუცს გაულია მისთვის ზღაპრებისა და მითების კარი. მისგანვე უსწავლია მთელ ქვეყანაზე ულამაზესი ქართული ასოების
 მოხაზვა.

ამას მიყვება ფილოსოფია მითის წარმოშობის შესახებ. ვინ
 არის მარქსი, დარვინი და სხვები. რა მეცნიერება, რის მეცნიერება
 პირველთაგანვე იყო მხოლოდ მითი, ყოველივე შეიქმნა მითით. მითი
 წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნის, მითი, ღმერტყაცის და ხელოვანის
 უპირველესი განზრახვა ყოფილი და როდესაც მომავალში ყოველივე
 არარად იქცევა მხოლოდ მითი დარჩება. ეს რა არის იმ მეცნიერულ
 და ფილოსოფიურ აღსნასთან თუ რას წარმოადგენს პოეტისათვის
 კრიზისი. ეს ყოფილ თურმე სულის გამოფხილება ზმანებისა და

მითის ჯადოსაგან. კრიზისი უმითოდ ყოფნაა. მაგრამ ავტორისათვის არ ყოფნა. ავტორი ასეთ დროს შედგეტ კაციეთ დადის გაზარეა-ცებული და მას ამგვარი კრიზისის დროს შეუძლია მხოლოდ ნადი-რობა მიმინოთი მისტერიებით სავსე მიწაზე. მისი პარტნიორი დიაკ-ონიც უკვამოს მაგრამ ამ წყუულ დროში თევზიც გაეშმაქებულა. აქებს ძველი კაცების მოთმინებას, მიმინოებს რომ ისეთი გულმოღ-გინებით მართავდენ, რომ შვილს არ ზრდიან ამ დროში. ერთი სიტ-კუით დროება წამხდარია, კარგი აზნაური ძუაგამოფსკენილ დაუდა-ლავ ლაფშაზე როგორ შეჯდებოდა. ან ისე როგორ დარჩებოდა რომ საუკეთესო ცხენი არ მოეპარა. ძველად ისიც კი ესმოდათ თურმე რომ თქმა ქმნაზე უფრო ძნელია, რომ თქმას დიდი მორიცება უნდა, სიტყვა ბევრ რამეს იწვევს, სიტყვა სულს იწვევს და სულიერს. მო-სუცი დიაკონის ამ სიტყვებით გაოცებული ავტორი კვლავ ფილო-სოფიურ ფიქრებს ეძლევა.

ეს პატარა მოთხრობი საესეა — სატანებით, ალქაჯებით, სასწა-ულებით, კუდიანი დედაბერებით, მორიელებით და სხვა. არ აკლია არც პორნოგრაფია, მკერდ გათვარისული გოგოები კრაქებით ხელში რომ შეუძლებიან მამაკაცებს საწოლ თთახებში და შემდეგ რომ ისმის ხის საწოლების ჭრიჭინი და ხარბედიების ქალების უნუგეშო კრუსუნი.

წიგნი დამძიმებულია არა მარტო საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონის სიტყვებით, არა მარტო სახარებისა და ლოცვების ტერ-მინოლოგიით, არამედ მეგრული კილოკავებითაც: გოლუაფიროთი (შენ გენაცვალე), დოხორეთი და სხვა.

სხვთი ავადმყოფური წიგნი უსარგებლოა თანამედროვე მკით-ხელის საჭირო მისი გამოცემაც კი ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

კ. 3.

რედაქტორი: დ. რონდელი

შ ი ნ ა რ ს ი:

83.

1. მოწინავე.—პროლეტარულ მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის შედეგები	1
2. ონა ვაკელი.—გზიდან. გასწი ჩემო მეტლევ	6
3. ალექსანდრე ხულავა.—მაქსიმ გორკი	8
4. კონსტანტინე ლორთქიფანიძე.—პოემა ჩვენი დროის გმირების	14
5. კარლო კალაძე. /მსჯელობა მომავალ საქმეების გამო	15
6. პეტრე სამსონიძე.—ღიღი ბლინდა ყვირილაძე	17
7. შალვა რადიანი.—სანდრო ეჭლი	25
8. პეტრე სამსონიძე.—ერთი საუბრის გამო	41
9. გიორგი კაჭახიძე.—ჩემი ბინა	42
10. სერგო ჯავშანიძე.—პირველი ტრაქტორი	43
11. ბენიტო ბუჩიძე.—მსჯელობა მომავალ საქმეების გამო	60

ბიბლიოგრაფია

1. ალ. ხულავა. „ქართული მწერლობა“ № 1, 2, 3, 4, 5.	64
2. კ. 3. „ტაბუ“ კ. გამსახურდიასი	66

ପରିଚୟ



ସ. ବ. ଶ. ବ. ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପାଠୀ ପ୍ରଦୀପ କଣ୍ଠ ୩ୟ-୩ ଲକ୍ଷ୍ୟ

ମେଁ 1854

ମତାବ୍ୟ 1409.

ମାତ୍ରା 1000.

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი

წელი 1928 მიურა

კრიტიკული მწერლების მედალი

საქართველოს პროლეტარულ მწერლთა ასოციაციის ყოველთვიური
ორგანო

რედაქტორი: დ. რონდელი

მიურა ს ა ხ ე ლ ი ს მ ი უ რ ა
1928 ჭლისათვის

წელი 1928 მან. სამი თებერვალი 1 მან. 20 კაპ. ექვსი თებერვალი 2 მან.
50 კაპ. ცალკე ნომერი 50 კაპ.

რედაქტორი

ტფილისი, ივ. მაჩაბელის ქ. № 13.
ხელოვნების სასახლე.
ტელ. 24-51

კანკორა

ტფილისი, სახელგამი პერიოდ
სექტორი,
რუსთაველის 36. № 22